

# ლიტერატურული გაზეთი

№82 21 სექტემბერი - 4 ოქტომბერი 2012

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



დავით კლდიაშვილი

150

## „მსოფლიოს აღმოსაჩენი ჰყავს“...

დავით კლდიაშვილის კარმიდამო ხალხით ივსება. ადგილობრივი მოსახლეობა, სტუმრები, საიუბილეოდ დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების მონაწილეები, მწერლები, მსახიობები, მომღერლები, მოცეკვავეები აქ დილიდანვე იყრიან თავს.

მომსვლელი არ ილევა, ადამიანები აჩქარებით მიუყვებიან აღმართს, რომლის ბოლოშიც მწერლის სახლ-მუზეუმი ეგულება. საოცარი გზა იქამდე — ყვირილას მარჯვენა სანაპიროდან უნაგირას მთის კალთებზე მეჩხერად შეფენილი, მწვანეში ჩაფლული სახლების სახურავები და დამრეც ფერდო-

ბებზე დამუშავებული მინის პატარ-პატარა ფერადი „ნაჭრები“ ქართული მხატვრის პეიზაჟივით მოსჩანს, სოფლის ორღობეებიდან კი ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟების გამოჩენას ელი.

ჭიშკარი ფართოდ გაუხსნიათ. შიგნით წაბლის ხის იმერული ოდაა დიდი აივნით. ეს მწერლის მამისეული სახლია. სამსონ კლდიაშვილს ის სიმონეთში უყიდა და მამობილის, დათიკა გიორგაძის მიერ ნაჩუქარ ეზოში ჩაუდგამს. ქართული კულტურის ეს მემორიალური ძეგლი კარგადაა შემონახული და XIX-XX საუკუნეთა იმერული ყოფის ერთგვარი ნიმუშია. მას ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს. სახლ-მუზეუმი 1947 წელს მწერლის ქალიშვილის ნინო (ნუცა) კლდიაშვილის ხელმძღვანელობით გახსნილა.

VI-VII



აღრიანად იღვიძებდა. ერთი ბენო ოთახი. სიბნელე და ნესტი, შიფანერკა. ბნელოდა. ციოდა. ყველაზე მეტად ამ დროს უჭირდა. ვეღარც იძინებდა. თვალს გაახეხდა და დამთავრდა. შიგნიდან რომ კარი ჩაკეცილებდა და გარეთ დარჩებოდა. როგორც დედის საშოში ვეღარ შებრუნდებო... ძალიან მოხუცი იყო და ერთადერთი დასვენება, შვება და გასართობიც კი ძილი იყო. ძილი და სიზმრები. გარდაცვლილების დასიზმრებაც არ აშინებდა. პირიქით. მონატრებული ელაპარაკებოდა, ეკამათებოდა, ხანდახან „დურაკასაც“ ეთამაშებოდა. ერთხელ ლოტოც ითამაშეს. ლოტო ძალიან უყვარდა. ლოტო და შემწვარი ღვინო. არც ერთი აღარ ახსოვდა. ოთახში ძალიან ბნელოდა. ნახევრადსარდაფში, სინესტის, სიძველის და სიცივის სუნი იდგა. ყველაზე მეტად ადგომა უჭირდა. ადგომა და ტულეტში გასვლა. და მერე ცივი წყლით ხელ-პირის დაბანა. სახლიდან მოუწესრიგებელი გასვლა არ უყვარდა, არც შექმლო... ძალიან მოხუცი იყო. გრძელი ცხვირი ჰქონდა. შავგვრემანებისთვის დამახასიათებელი სუფთა კანი, გრძელი და ამ ასაკშიაც კი ძალიან ცოცხალი, მზინავი თვალები. ადგომა მაინც ძალიან უჭირდა. მით უფრო სიცივეში. გარედან თუ ქარის ხმა ისმოდა საერთოდ... ქარის ძალიან არ უყვარდა. ეშინოდა ქარის. ცდილობდა ისე დაეძინა. წვალობდა. წვალობდა, იღლებოდა. დაქანცული აჭრიალებდა ნიკელის სანოლს. ციოდა! არა, შუქი ჰქონდა. ბედზე კეთილი ინკასატორი შეხვდა. ერთხელ გადაუჭრა. მერე რომ ნახა ბებო, მისი პატარა ოთახი, პატარა ელექტროქურა, შიფანერკა, წავიდა და თვითონ გადაუხადა... ამის მერე მოდის, ამოინერს დანახარჯს და თვითონვე იხდის... ისეთი რა უნდა დაეხარჯა, იმ ელექტროქურას სამი სპირალიდან ორი ისედაც გადამწვარი ჰქონდა. მაინც ძალიან კარგი იყო კეთილი ადამიანის გამოჩენა. მით უმეტეს კეთილი ინკასატორისა. თორემ ბებო უშუქოდ, თავისი ნახევრად გადამწვარი ელექტროქურის გარეშე, უბრალოდ ვეღარ გადაიტანდა ამ ზამთარს. უკვე ძალიან მოხუცებული იყო... ინკასატორი კი ემალებოდა. იმ დღის მერე სულ ემალებოდა. დანახარჯსაც ჩუმად ინერდა და ერთი სული ჰქონდა, დროზე მოეცოცხა, ისე, რომ მოხუცი არ გამოფარფატიებულიყო. ბავშვობაში მამამისს უჩხრეკდა ხოლმე ასე პალტოს ჯიბეს, რო შემთხვევით ჩარჩენილი ხურდა ეპოვა და მერე სკოლის ბუფეტში, კორჟიკებზე და კატლეტებზე დაეპატიჟებინა კლასელები, თან გული უფანცქალებდა. მგონი, ეს გულის ფანცქალი უფრო მოსწონდა, ვიდრე ის გაბრტყელებული, გაქონილი კატლეტები. ერთხელ სამმანეთიანი იპოვა. მთელი კვირა „ფრანგული“ ფურთუშებისა და სოსისების მეტს აღწერა კადრულობდნენ ის და მისი მეგობრები. ერთხელაც ვერ გამოიჭირეს. არც ხურდები მოუკითხავთ. არც ის სამმანეთიანი. ჯერჯერობით აქაც კარგად მიდიოდა საქმე. არც ერთხელ არ შეხვედრიან ერთმანეთს ბებო და ინკასატორი. ბებოს ერთხელაც არ მოსვლია თავში აზრად: „ნეტავ, დენს რატომ არ მიჭრიან“... ეგეთი რაღაცები აღარ ახსოვდა. სადა ჰქონდა ამდენი ფიქრის თავი და ოსილია. ძალიან დაბერებული იყო და მთავარი საზრუნავიც სულ სხვა ჰქონდა. რაკი გაიღვიძა და მეტი გზა აღარ იყო, როგორმე ტულეტამდე უნდა მიეღწია და უკან მობრუნებულიყო. ადგომა სულ უფრო და უფრო უჭირდა, ერთ დღესაც მართლა ვეღარ ადგებოდა. იცოდა და ამისაც ძალიან ეშინოდა. მართალია, ძალიან მოხუცი იყო და

ფიქრის თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ ფიქრი არც სჭირდებოდა. გრძობდა. გრძობდა და ძალიან ეშინოდა ამ დღის. კიდევ უფრო ეშინოდა ამ დღეზე ფიქრის. ამიტომ არც ფიქრობდა. ერჩინა ქარის შინებოდა და ქარზე ეფიქრა. ქარიც ერთგულად დაშხუოდა ნახევრად ჩამონგრეულ იტალიურ ეზოში. არახუნებდა სახურავის უესტებს, დიდი გამხმარი მსხლის ტოტებს ერთმანეთზე ახლიდა, აჩხავლებდა კუდ და ყურ მოგლეჯილ, ქუჩაში გაზრდილ და დაჩეხილ პრისტუნე კატებს... ერთ დროს ლამაზ, პატარა კნუტებად რომ გაჩენილიყვნენ... ბებო ყველა მათგანს სათითაოდ იცნობდა. ეზოს გიჟი ბასკიტა ყოველ დღე 2 ლარიან და 50 თეთრიან, ნითელ პარკში გახვეულ, აქოთებულ ძეხვს ყიდულობდა მათთვის და შუა ქუჩაში, ტარმორყეული, სამართებელივით გალესილი დანით, თავისი ხელით უჭრიდა და აჭმევდა. მერე იმ დანით ფელდფებელივით ესალმებოდა ეზოში შემოსულ ბებოს.



თან კატებს ყარაულობდა, რომ ჭამა ეცლიათ. ამვლელ-ჩამვლელ მანქანებს გადაუდგებოდა გზაზე და არ ატარებდა. თან მოთმინებით უხსნიდა: „ახლა გავლა არ შეიძლება, კატები კალბასს ჭამენ...“ ურჩ მანქანებს კი კარგა დიდ მანძილზე მისდევდა იმავე დანის ტრიალით და იქიდან დაღლილი, გულამოვარდნილი ბრუნდებოდა, სტვენით სუნთქავდა და ბებოს უხსნიდა: „ასე ცუდად იმითომ იქცევიან, რომ ჩემი გატყუება უნდათ, რომ ჩვენი დაგლეჯილი, გატანჯული და სამფეხა კატები მოიპარონ თუ ყველა არა, ერთი მაინც“. ბებოს კატები არ ენაღვლებოდა. კატები კი არა, საკუთარი სხეული ჰქონდა მობზრებული. ბასკიტას ეს ძალიან სწყინდა. არ ესმოდა, რატომ არ აინტერესებდა ბებოს კატების ბედი. გიჟი იყო და ვერ ხვდებოდა. ძალიან დასწყდებოდა გული, რომ გაეგო — ბებოს კატები კი არა თვითონ ბასკიტაც არ ენაღვლებოდა. თუმცა ორი ცალი კანფელი ყოველთვის მოჰქონდა დანიანი ბასკიტასთვის. ხანდახან ოთხი კანფეტიც. ერთხელ მთლად შეიდი კანფეტი მოუტანა. ამის გამო ბასკიტას ბებო ძალიან უყვარდა. ბასკიტას ბებო კეთილი ეგონა და ეგონა, რომ ბებოსაც ძალიან უყვარდა. გიჟი ბასკიტა უბრალოდ ცდებოდა. ცდებოდა ისე, როგორც ჩვენ ყველანი... იმ დღისაც ბებო უბრალოდ ცდილობდა, ამდგარიყო, ტულეტამდე მისულიყო და მერე ვაგზის მოედანზე თავის ადგილამდე მიეღწია. მეტი არაფერი. მეტი უბრალოდ არ შექმლო. ძალიან მოხუცი იყო. ბოლოს მაინც დგებოდა. თავის სა-

ნოლთან ერთად ჭრიალებდა. ჯერ თვალს არიდებდა, ამ ბოლო დროს კი საერთოდ ვეღარც ხედავდა, საკუთარ დამდნარ ხელ-ფეხს და დალეულ, გასიფრიფანებულ, კანმიმდნარ თითებს. ყოველ დილას თან მოსდევდა შიშვლის გრძობა... ღამე ეღვიძებოდა, დგებოდა და თურამეს მოძებნიდა, გამალებით ჭამდა. თუ არა და პურის ქერქებს აფიცებდა შავ მურიან, გამჭვარტლულ ტაფაზე და გაფაციცებით ახრამუნებდა. რაც უფრო მეტს შეჭამდა ღამე, მით უფრო მშვიდი იღვიძებდა დილით. დგებოდა თუ არა, თავის გაფუჭებულ ტელევიზორს რთავდა. ტელევიზორი თუ მისი ანტენა დიდი ხნის წინ გაფუჭდა. მხოლოდ პირველ არხს აჩვენებდა, ისიც შხრიალ-შხრიალით. მაინც რაღაც შეღავათი იყო მისი ციმციმი. პატარა შავ-თეთრი ტელევიზორი იყო. შხრიალებდა, მაგრამ ხმებს მაინც გამოსცემდა. ეს მაინც ჰყავდა. მისი ხმის გამცემი ტელევიზორი იყო.

ჯა და გადაადგო, მეორის და მესამის გაშვებება დაიწყო. სამივე გიჟივით ღრიალებდა, იგინებოდა და ერთმანეთს ეკონიალებოდა. მეორე ნაიქცა და სულ გადაირია. მესამეს დედა შეაგინა. მესამემ დანა გახსნა. თან მაგნიტოფონს ხელიდან არ უშვებდა, თითქოს ბავშვს კლავენ მის თვალწინ და უნდა გადაარჩინოსო. პირველი, დანამოღერებულ მესამეს წინ გადაუდგა. მეორე იგინებოდა და ადგომას ცდილობდა. პირველმა მესამეს რამდენჯერმე ხელი ჰკრა, რომ მეორესთვის მოეშორებინა. მესამემ უკან დაიხია. პირველს არ ურტყამდა დანას. ცალი ხელით მაგნიტოფონი და ყუთი გულზე აეხუტებინა, მეორე ხელში გახსნილი დანა ეჭირა და ინდიელი ჯოსავით ნელში მოხრილი უყურებდა მეორეს, რომელიც წამოდგომას ცდილობდა და დედას აგინებდა. უცებ პირველმა ხელი სტაცა მაგნიტოფონს და თავის ყუთიანად, შიშისაგან გათიშულ, თითქმის გონდაკარგულ ბებოს ჩაუგდო კალთაში — „ამისთვის ხოცავთ ერთმანეთს, აჰა, ამის დედაცო...“ ამ არგუმენტმა თითქოს იმოქმედა მესამეზე, ყოველ შემთხვევაში, როდესაც პირველმა შემოაბრუნა და და იქვე შენობის კუთხეს მიაფარა, წინააღმდეგობა არ გაუწვია, მაგრამ არც დანა დაუკეცავს. ამასობაში მეორემაც მოახერხა წამოდგომა და თავის ხალხს გაჰყვა ბარბაცით. ტრაკი სველი ჰქონდა. ბებოს მაგნიტოფონი, უფრო სწორად, მაგნიტოფონის რადიო გამოადგა. ერთი-ორი თვე იმუშავა. მერე გაფუჭდა. შური გადაეწვა და ბებო ისევ აშხრიალებული ერთ არხიანი შავ-თეთრი ტელევიზორის ანაბარა დარჩა. ციოდა. ჩაბნელებული ფანჯარა ნელ-ნელა ბაცდებოდა და რძისფრად ნათდებოდა. თენდებოდა. ბებომ ელექტროქურაზე მსხვილცხვირიანი ჩაიდან დადგა. ჩაიდანს ხის სახელური ერთ მხარეს ამოტეხილი ჰქონდა. ბებოს ხშირად ავიწყდებოდა და ხელს ინვადა. ამჯერად არ დაგინყვია. ფრთხილად გადმოდგა და ტულეტში წავიდა. იქიდან მობრუნებული, დიდხანს იშრობდა სველ დამძრალ ხელებს. მერე ჩაი დაისხა და სუფრის დიდი კოვზით შაქარი ჩაიყარა. სამი კოვზი. იმ დილას საჭმელი არაფერი ჰქონდა. სამაგიეროდ შიფანერკაში მდგარი საშაქრე მაქრით იყო სავსე. ტკბილი ძალიან უყვარდა. ტანსაცმელს იცვამდა. იცვამდა დიდხანს, ვაივაგლახით. იცვამდა, რაც შეიძლება თბილად. თავზე თავისივე ხელით, სხვადასხვა ფერის ბანრით მოქსოვილ ქუდს იხურავდა, რომელზეც მისი ჭკლარ თმები რჩებოდა და რომელსაც მისი სუნი ასლიოდა. ქუდის ზემოდან, კიდევ დიდ, დაჩრჩილულ, მაგრამ თბილ, ძველისძველ ქაშმირის შალს იხვევდა. რქის მორყეულ სათვალეს იკეთებდა. გასვლამდე კიდევ კარგა ხანს წრიალებდა სახლში. ეშინოდა, რამე არ დარჩენოდა. ერთხელ, როცა შუქი არ იყო, სანთელი დარჩა ანთებული. უცებ ჩაეძინა. ქუჩაში ნაპოვნი გადაყრილი ძველი ჟურნალები იპოვა. ძალიან გაუხარდა — ძილის წინ ნავიკითხავო. იმ ჟურნალების კითხვაში ჩაეძინა. ტუმბორკა, ერთი პარკი მაკარონი, სარეცხის სამაგრები და ის ქუჩაში ნაპოვნი ჟურნალები დაეწვა. მეზობლებმა გადაარჩინეს. ეჩხუბნენ. რას შვრები, ქალო, ამდენი ოჯახი უნდა ამოვბუგულეყავითო?! ერთმა ისიც უთხრა: „ვინა ხარ, პატრონი არა გყავს, შენი საცოდაობით გული დამიავადდა.“ „მაპატიეთ, თქვენი ჭირიმი, ამ ერთხელ მაპატიეთ“. თან სანყლად უღიმოდა. იმ კვამლში შემოცვენილი გაავერღო მეზობლებს. სათითაოდ უყურებდა ყველას სახეში, დაბნეული და შეშინებული გასანყლებული ღმილით. ბოდიშებს იხდოდა. ეს ღმილიც ისე ჰქონდა სახეზე აკრული, თითქოს სცემენ და თავზე ხელეხი იფარებოდა. მეზობლები კი უფრო და უფრო შედიოდნენ ეშხში. სულ უფრო და უფრო მწარე რაღაცებს ეუბნებოდნენ. თითქოს მთელ თავის უბედურებას ამ ჩხუბში ანთხევდნენ. მაინც მადლობელი იყო. ამ აკივლებულში და გაავებულში მეზობლებმა გადაარჩინეს. დროზე რომ არ შემოვარდნილიყვნენ, ვიდრე ცეცხლის ალი მისწვდებოდა, ბოლი გაგუდავდა. რამდენჯერმე შეამონმა, თავისი ორი ელექტროჩამრთველი ნახევრადამწვარი



ელექტროქურა და, როგორც იქნა, გამ-  
ოხსურა კარი.

ბოლოს ხელთათმანებს იცვამდა. ცალ-  
ცალი ხელთათმანი ჰქონდა. ისიც თავისი  
ხელით მოქსოვილი. ერთი უთითებო თათ-  
მანი (მხოლოდ ცერა თითი რომ აქვს, აი,  
ისეთი), მშენებლობებზე „პრარაბები“ რომ  
ხმარობენ. მეორე კი, ჭრელი უთითებო,  
უფრო სწორად გადაჭრილი თითებით.  
ველომბროლებს და მარიაჟ სნაიპერებს  
რომ აცვიათ, ისეთი. ოღონდ იმათ ტყავის  
ხელთათმანები აცვიათ, ბებოს კი ჩვეუ-  
ლებრივი, ნაჭრისა ეცვა.

გამოვიდოდა სახლიდან. მერე ეზოდან.  
გამოსცდებოდა ძველისძველ ჟანგიან გა-  
დაბრეცილ ჭიშკარს.

ვაგზლის მოედნისკენ მიდიოდა. მიიბ-  
ჯენდა თავის ხის ხელჯოხს. ხელჯოხს რკი-  
ნის ბუნეკი ჰქონდა — უფრო სწორად,  
ალუმინის.

ბებოს თხოვნით გიჟმა ბასკიტამ ძველი  
გადაგდებული „ლეჟანკა“ იპოვა, „ნაყოფ-  
კით“ ფეხი მოახერხა და ბებოს ხელჯოხს  
ჩამოაცვია, რომ ბოლო არ გასცვეთოდა.

თევდორე მღვდლის ქურით მიდიოდა.  
ფრთხილად მიდიოდა. მიაკაკუნებდა ხელ-  
ჯოხს.

თევდორე მღვდლის ქურა მძიმედ იღვი-  
ძებდა ზამთრისპირის ცივ, ნისლიან და  
ჯანლიან დილას.

გამურული ხის ძირას მუყაოს ყუთები  
ხრჩოლავდნენ. ქარის ყოველ ნაშობერვაზე  
ჰაერში იშლებოდა ჭვარტლი. იქვე ეყარა  
ცარიელი არყის ბოთლები, ბიჩოკები, კონ-  
სერვის ქილები, ძეხვის ანაფცქვენი. ალაგ-  
ალაგ სისხლის წვეთები და ნარწყვენი.

მძიმე ღამე გაჭირვებით, ტანჯვით თენ-  
დებოდა. ძალით იფხიზლებდა თავს...

პირდაუბანელი, თვალმდინარეული  
მტვირთავები რკინის ურიკებს მოახრიგო-  
ნებდნენ, რომლებზეც ახლად დაბეჭდილი  
მუყაოს ყუთები ელაგა და გაავებული  
ჩახრინწული ხმით სანყლად ყვიროდნენ:  
გზა! გზა! მერე პოლიციელები გამოჩნდ-  
ნენ. მერე — შუღერები, ბოზები, ლოთები,  
ქურდები, ბარიგები, გამყიდველები, გა-  
მომყიდველები, მათხოვრები, ტალახი,  
ერთმანეთში ჩაჭედილი მანქანები, სიგნა-  
ლი, ყვირილი... გინება...

ბებო მიდიოდა. მიდიოდა თავისი ადგ-  
ილისკენ. არავის არ უყურებდა. არაფერ-  
ზე ფიქრობდა. არაფერი უნდოდა...

58-ე მარშუტკის გაჩერებასთან, მის  
ადგილთან ახლოს, მესამედ განურულ  
ზეთში შემწვარი „პერამკები“, ჰოთ-დოგე-  
ბი, უყველო ფენოვანი ხაჭაპურები და გამხ-  
მარი ლობიანები იყიდებოდა. იქვე ქალებს  
სიგარეტი, ბრიტები, ასანთი, სანთებლები  
და კევეები დაჰქონდათ გასაყიდად,  
კისერზე ჩამოკიდებული მუყაოს ყუთით.  
თუ ახლომახლო პოლიციელები არ ირე-  
ოდნენ, სიგარეტი ღერეთითაც ჰყიდდნენ.  
იქვე იყვნენ მეგრული ქალებიც, თავისი  
სვანურ მარლით, სხვადასხვა სუნელებით,  
ვედროში ჩაყრილ სხვადასხვა ხილბოსტ-  
ნეულით და ყველით.

ხშირად ჩხუბობდნენ ერთმანეთში.  
ქართულ-მეგრულად თათხავდნენ ერთმა-  
ნეთს. იშვიათად, ხელჩართულ ბრძოლა-  
მდეც მიდიოდა საქმე, ხელჩართული ჩხუბი  
საშინი იყო, ვედროები დატრიალდებოდა  
ხოლმე, ცალკე ზარალი და ხარჯი, თან  
მეორე დღეს ისევ ერთად უნდა დამსხ-  
დარიყვნენ.

მთავარი მტრები და კონკურენტები  
მაინც პოლიციელები იყვნენ, რომლებიც  
განსაკუთრებული გულმოდგინებით და  
თავზეხელაღებულობით არბევდნენ,  
ვედროებში ჩამჯდარი, ერთმანეთს მიყუ-  
რულ, დამფრთხალ, გასაცოდევებულ და  
გაავებულ ქალებს. თუმცა ქალები თუ  
რამეზე ძალიან გაბრაზდებოდნენ და გა-  
დაირეოდნენ, მაშინ ხანდახან მაგრად  
უბრუნებდნენ კიდეც...

ბებოს ძალიან ეშინოდა ჩხუბის და ხმაუ-  
რის. თვალმდინარე კი ხუჭავდა. ერთიორჯერ  
მისი ჩარევაც გადაწყვიტეს ჩხუბსა და  
გარჩევებში: „თქვი, ჰა, ქალო, როგორ იყო,  
აქ არ იყავი შენც?... თქვა, კი ბატონო, თქ-  
ვას, ხომ ხედავდა საკუთარი თვალით. ე,  
ამოილო იქნება ხმა...“ მაგრამ ბებოს მთე-  
ლი ძალით დახუჭულ თვალებს, გამტ-  
კნარებულ სახეს და მის მობრეცილ,  
ზმეიკიან ფეხსაცმელებთან დადებულ,  
ხუთ და ათეთიანიებით სავსე თუნუქის  
ყუთს რომ დაინახავდნენ, გონს მოდიოდ-  
ნენ: „გაჩერდი, ქალო, მაგან რა უნდა  
გითხრას, გამოყრუებულია მთლად მაგ  
უბედური, გაანებე თავი...“ „უყურე ამ  
გაოხრებულს, შენ არ კითხე პირველი?...“  
„ვინაა ქალო გაოხრებული...“ „გაჩერდი



ახლა გაინყვიტე ხმა...“ „შენ გაინყვიტე თუ  
კაია...“

ბებო მიდიოდა. მიდიოდა ინერციით.  
ინსტიქტურად, გაუაზრებლად. როგორც  
მომაკვდავი სპილოები თავის სასაფლაოსკ-  
ენ. ვერაფერს გრძობდა შიმშილის გარ-  
და.

ჰაერზე კიდევ უფრო მოშვიდა. ცხვირ-  
ში სცემდა ათასნაირი შემწვარი სანამლა-  
ის სუნი და ნერწყვი ახრჩობდა.

მიდიოდა ნელა, ფრთხილად, გამოზო-  
მილი ნაბიჯით, ოღორჩოლორ ასფალტა-  
მოგლეჯილ ტროტუარზე, ფეხი ერეოდა,  
ბარბაცებდა და უმწეოდ ცდილობდა  
წონასწორობის შენარჩუნებას. ხელს  
არავინ აშველებდა.

რამდენჯერმე წაიქცა. გადარჩა,  
არაფერი მოუტეხავს. ერთი ხერხი იცოდა,  
როგორც კი ატყობდა რომ წონასწორობას  
კარგავდა, თვითონვე ჯდებოდა. ეს ილე-  
თი ჯერჯერობით შველოდა.

ეგრე ბანცალ-ბანცალით მიადნია  
„ბავშვთა სამყარომდე“. გადასასვლელთან  
გაჩერდა, ჯოხს ჩამოყვარდნო და დასას-  
ვენებლად გაჩერდა.

წინ კიდევ ერთი დიდი განსაცდელი  
ელოდა. დიდ გადასასვლელზე გადასვლა.

გზა გადახრილი იყო. ყვეთელი ბინ-  
ძური წყლით სავსე გუბები. ყველა თავის  
ნებაზე უხვევდა, რომ ორმოებისთვის  
აერიდებინა მანქანა და გზა გაეკვლია.  
იჭედებოდნენ, ირეოდნენ ერთმანეთში.  
მანქანები — საბარგო, ტაქსები, „მარშუტ-  
კები“, რკინის დაბარგული მოხრიგინე  
ურიკები, დატენილი ჩანთიანი მოქალაქე-  
ბი, ტომარა აკიდებული მუშები, ბოშები,  
ლოთები, მათხოვრები, ძაღლები, ქურდ-  
ები, კახები, კივილი, ყიჟინა, გუგუნე, გინე-  
ბა და: „იყიდეთ, იყიდეთ, გთხოვთ, იყი-  
დეთ...“ და: „ეი, კრასავეც, პაგადაიო, ვსიო  
ვერნა სკაჟუ, უ ნებია სილნაია რუკა ი დო-  
ბრაია დუშა, ნო ტი პოდ გლაზამ, ოჩენ  
ზლოი გლაზ, ნი ხაროში.“ და მთვრლებ-  
ის გამყრუებული ყვირილი „აუუ, თქვენი  
დედაა ყველახი!!!“

ძალიან ეშინოდა. ძალიან ეშინოდა აქ  
გადასვლის.

ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გადა-  
დიოდა.

მანამდე დიდხანს, დიდხანს ისვენებდა.  
ძაღვს იკრებდა. ძაღვს და გამბედაობას.  
ისე გაჭყლევდნენ, ვერც გაიგებდა. შე-  
უმჩნევლად მოკლავდნენ, ჩიტივით.

არ უნდოდა სიკვდილი. დიდხანს ელო-  
და მანქანების შემცირებას. ნელა, ფრთხ-  
ილად, ჯოხის ბჯენით ჩამოგდა ტროტუ-  
არიდან ფეხი.

საცობში მოყოლილი, ნერვებდან-  
ყვეტილი მძღოლები, ყოველთვის გინებით  
და სიგნალით ხვდებოდნენ მათ კაპოტთან  
უცებ აღმოჩენილ, შალის ნაგლეჯებში  
გამოხვეულ დედაბერს, რომელიც დაპიპ-

ნობეულივით თუ მთვარეულივით მიბო-  
რიალობდა გუბებსა და მანქანებს შორის.  
ჯერჯერობით ასწრებდნენ დამუხრუ-  
ჭებას.

გადააღწია ქურჩის მეორე მხარეს.  
როგორც იქნა, მოაღწია „თავის ადგილამ-  
დე“ — როგორც აღთქმულ ქვეყანამდე, მა-  
გრამ ისე იყო არაქათ გამოლეული, რომ  
ალარაფერი უნდოდა. როგორც იქნა, და-  
ჯდა, ჩაიმუხლა, დაიდო წინ, თავისი ლურჯ-  
ნითელი თუნუქის ყუთი და ჯოხზე ჩამოდე-  
ბულ საკუთარ ხელს მიაყრდნო შალის ქუ-  
დიანი თავი. მთელი სხეული უკანკალე-  
და. ძალიან დაილაღა. ცდილობდა თავი  
შეეკავებინა. მის გარშემო უკვე ისხდნენ  
ქალები და არ უნდოდა, შეემჩნიათ. საქმე  
გამოუჩნდებოდა და დაეხვეოდნენ: „რა  
მოგივიდა, ქალო,“ ცუდად ხო არ გახდი?“  
„ცუდად არი, აბა, რა, ფერი არ ადევს“  
„ვამიმე, ქალია ცუდად, ექიმი, ექიმი“ — და  
ცნობისმოყვარეების: „რა მოუვიდა, რა  
მოუვიდა?“

არ ჰქონდა ამეების თავი. ერჩინა  
თავისთვის ყოფილიყო. თავისით გაუვლი-  
და.

ამასობაში ჩასთვლიდა და პირველი  
წკარუნიც გაისმა, ოცთეთრიანი იყო.  
მრგვალი, მელოტი კაცი იყო, ჭალარა ხუ-  
ჭუჭა თმა კეფაზე ჰქონდა შერჩენილი.  
უკვე გაცდა, ზურგიდან ჩანდა. ჩვევად  
ჰქონდა, ვინც გაიკითხავდა, აუცილებლად  
თვალს აყოლებდა. წითელი კეფა და კე-  
ფაზე შერჩენილი თეთრი თმების ნაგლე-  
ჯები.

ისევ ჩასთვლიდა. შიგადაშიგ წკარუნი  
ისმოდა. შიმშილი დაავიწყდა. მერე გვერ-  
დით მჯდომმა მუხრანელმა დარომ შავი  
პური, ქარხნის ყველი და შუაში გაჭრილი  
გაფცქვნილი კიტრი მიანოდა.

ცოტა შენაყრდა. შიგადაშიგ ფულს უყ-  
რიდნენ. პურის საყიდელი ფული უკვე  
ჰქონდა.

თუ ასე გაგრძელდებოდა — მაკარო-  
ნის, შაქრის, გრეჩისის და ცოტაოდენი ტკ-  
ბილეულის ფულიც შეუგროვდებოდა.  
შოკოლადის და კანფეტების. რამდენ-  
იმე კანფეტს ბასკიტასაც არგუნებდა.

ბაზრის მხრიდან მხარზე ჩანთა გადაკ-  
იდებული მაღალი ბიჭი გამოჩნდა. ეს ბიჭი  
რამდენიმე დღეში ერთხელ ჩნდებოდა,  
ყოველთვის ესე ჩანთააკიდებული მოდიო-  
და. ხან თავჩაღუნული და ჩაფიქრებული  
მოდიოდა, გრძელი ნაბიჯით, ხან პირიქით,  
თავანუელი და მხრებში გაშლილი. ცალყ-  
ბა ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და  
თვალეშიც რალაც უცნაური, ველური და  
ხალისიანი ცეცხლი უელავდა. ბებოს რამ-  
დენჯერმე მოხვდა თვალში და დაიმახს-  
ოვრა. ცნობდა უკვე. სხვებისგან არჩევდა.  
გაუცნობიერებლად, თავის გიჟ მეზობელ  
ბასკიტასაც ამგვანებდა. მოდიოდა დალ-  
ილი სახით, სწრაფი, მსუბუქი გაშლილი

ნაბიჯით, ბებოს ყოველთვის გაცდებო-  
და ხოლმე. მერე ჩერდებოდა, თითქოს რა-  
ღაცა გაახსენდა და ყოყმანობსო. მერე  
ცალი ხელით, მეორეზე ჩანთა ჰქონდა მხ-  
არზე გადაკიდებული, ჯიბეების ჩხრეკას  
მოჰყვებოდა, ბებოსთან ბრუნდებოდა, ერთ  
ან ორ ლარიანს აძლევდა, ოღონდ თუნუ-  
ქის ყუთში კი არა, პირდაპირ ხელში აწე-  
დიდა და რატომღაც იქით ეუბნებოდა მაღ-  
ლობას.

ყოველთვის ასე ხდებოდა.  
ახლაც იგივე განმეორდა. ენოდა,  
იდგა, ერთი ხელით ჯიბეს იჩხრიკავდა და  
სიგარეტის ბოლს ცალ თვალს უხუჭავდა.

მივიდა, ამ ჯერზე ორმოცდაათეთერი-  
ანი მიანოდა — „მაღლობ“ — თქვა პირ-  
ში სიგარეტგაჩრილმა და და წავიდა, გზა  
გააგრძელა.

— შენ, ქალო, რამე ხო არ გეშლება,  
ჩათლახი ესა...

მოპირდაპირე საცხობთან ჩხუბი ატყ-  
და. დიდი მსუქანი კაცი, გაცეცხლებული  
გამოვარდა რიგიდან...

— თქვენი ნარუკა დედა... — გამყიდ-  
ველები პასუხს არ სცემდნენ — თქვენ თუ  
კეთილები...

— შენი კეთილებიც, შენი დედაც და  
შენი მთელი ოჯახიც დიდიან პატარიანად  
თუ კაია, ა!!! — დახლიდან მოულოდნელად  
სიფრიფანა ქალი გამოუხტა კაცს, — და  
შენი სუ ყველაფერი კიდეო, ა, კაია?... მოგ-  
წონს?... საზიზღარი კაცი ეს...

დიდი მსუქანი კაცი გამრა. არ ელოდა.  
მაგრად შეცბა, მაგრამ ამდენ ხალხში ასე  
უცებ დახვევაც აღარ გამოდიოდა. არადა  
ამკარად ნახდა.

— შენა, ქალო, ოხ, მე თუ შენ ეხლა დედა  
არ... — თქვა ნაძალადევად, გასანწყლებუ-  
ლი ხმით და ვითომ გაინია იმ გამხდარი  
ქალისკენ.

— მოდი, ერთი, მოდი, შენ თუ არ გა-  
მოგვამო, შენი დედაც და შენი კარგები  
მართლა... ქალმა ტურტლიანი, ზეთში  
შხრუკული, გაქონილი და იმ სიგრძე შამ-  
ფური გადმოილო, იმ საცოდავ კაცს კი არა,  
ზულუსების მეფე ჩაკა II-ს შეაშინებდა.  
მოდი, ერთი, პირდაპირ მაგ ბინძურ ყრონ-  
ტში უნდა გატაკო მე შენ ეს... — ქალმა შამ-  
ფური ჰაერში შეათამაშა და დამწვარი ზე-  
თის წვეთები მოაპკურა ხალხს, — ნაგავი  
კაცი ეს... ნაგავი, ნაგავო, შენ ნაგავო...

მსუქანი კაცი უკანმოუხედავად და  
მოულოდნელი სიმაღლით ცდილობდა  
თვალს მიჰფარებოდა.

იქვე კუთხეში პოლიციელები შეყრილ-  
იყვნენ, სეირს უყურებდნენ და გუშინდ-  
ელი სუფრის ამბებს იხსენებდნენ. შიგადა-  
შიგ კი, ისე გასართობად ვედროებთან ჩამ-  
სხდარ გამყიდველ ქალებს აწვალდნენ.

— ა, ჰა, დროზე ეხლა ადექით აქედან,  
ერთ საათში უფროსი მოვა. აღარავინ





დოდო ჭუმბურიძე

ციკლიდან:  
წვიმა მოტივულ მდებარეობა

\*\*\*  
როდის ავივლი სერს და ცად როდის ავალ, მე რომ არ ვიცი ჯერ — ის ჟამი მოდის ალბათ. გული იმნაირად ძვრს, შიში მეუფლება, უფლის სიყვარული უღერს, — ნინ, ნინ იარეო! — მეუბნება...

**განსახილველი**  
გამახსენდა, მშვილდოსანი შემოდგომის ტყესთან იდგა, მინდორს იქით ხარი ძოვდა, ზეცა იყო კრიალა, — მესტუმრეთო, — როგორც იტყვი, — ცაზე სცადა კიბის მიდგმა და ერთ წამში თავის ირგვლივ მინა დაატრიალა. სასწაულებს, ყოველდღე რომ აკეთებდნენ ტოროლები, შევბედეთ და დაემორჩილდით, ცის ბილიკებს შევრჩით ნისლის ქულეზად, ბრონეულის კორომები კაშკაშებდნენ ბოლო ვნებით, სიყვარულის ხელოვნებას გვაუფლებდა ბუნება. ორლესულობს ენა ბრიყვის და იცინის მშვილდოსანი, მიცურავს და იდუმალთ არის ჟამი მოცული... ვსაუბრობთ და ტყეს გავცქერით, მინდორს იქით ღვთისმოსავი დგას მხევალი პელაგია და ყველასთვის ლოცულობს...

**წვიმიანი ღვაგლი**  
ხან ლალი და ხან ეული — ნისლი ჩამოიტირებს, მნიფე არის მარცვლელი, ზეიმი აქვთ თრითინებს, აღვა ცაში გაქცეულა, ვანუგეშოთ რითიმე, სათივესთან ცხვარი ბლავის, ქალი ამბობს : ითმინე!... ვარცლში ცრემლით ნაღველს ცომავეს, ისმის მწყერების ქვითინი, სამტრედიის გზაზე ჩუმად გამოსულა ქვიტირი. აქვთ ჩვენი მაღლაკია, ძველ ნისქვილთან სათევზე, ამოსულა ოქროცოცხა შემოდგომის ნათესზე. დარდიმანი შადიმანი დუქანს სტუმრობს ნადიმად. ღრუბლიდან ვარ გადმოსული და ღრუბელზე დავდივარ. ზოგჯერ ისე ავცეტლები — წვიმას ჩვენაცვლები, ციდან ჩამოვეშვები და მინას დავენარცხები. — ასე მღერის შადიმანი, ლოთი კაცის ვნებითო, რა აქვს ამ ნისლს სატირალი ჩემთან შედარებითო...

**შხვედრა რომაულ ლეგიონთან, იბარიაში**  
მზე ეშვება თრიალეთზე, მწუხრის რეკავს რექვიმი, ველს ამშვენებს უცნაურად მოხასხასე ბალახი, შეგვიანდა, მძიმედ მოდის რომაული ლეგიონი, უფრო მარჯვე ლუკულუსზე, — პომპეუსის ამაყის.

მათობს სამყურების სილბო, ჭია-მაიების ფრთებით მოხაზული ზამბახების სილურჯე და სინაზე, ჰორიზონტზე ვილაც მირბის, ჩანან მშვენიერი მთები, მიხატულნი შუმერელთა მინაზე. მონყინდებთ ხეტიალი, ბრუნდებიან ეტლიანი ფრიგიელი, ვეფერები პელაზგებს, მლოცველებით სავსე ტაძრებს ვუმზერ, მზის ვარ მე ტრფიალი და დანიანს ამბავს ლამაზს ვუსმენ ბერძნულ-არამეულ ენაზე. გულს ესობა მწარე ჭვალი, ეს ტკივილზე მეტი არის, „იბერია გაბრწყინდება“, — ვამბობ სიტყვებს საიმედოს ყველაზე.

ინაყება სადღაც პიტნა, ინახება სადღაც მითრას დანგრეული სალოცავი, ცა ემბაზად მესმება, წელზე ირტყამს ძველი ციხე ქამარს ვახტანგ გორგასლისას, მოდის აქეთ მეფიონი და ბედნიერ მაყარს ფეხი ეშლება, შეგვიანდა, აღარსად ჩანს რომაელთა ლეგიონი, კავკასიის კალთებიდან ღამის ბინდი ეშვება...

\*\*\*  
მალე გუგულები ჩვენ ტყეს მოაკითხავენ, კვერცხებს ჩაუდებენ ბუდეებში ბოლოქაქარებს, ნაკადულიდან თავს ამოყოფენ ნაფოტა თევზები, მოუსმენენ გუგულების გალობას და პირში წყალს ჩაიგუბებენ. — ვინც უდარდელია, ცხოვრებაც ლალი აქვს, — დედა შაში შიშით აღიარებს და შეუბუბლავ შვილს შავ ფრთებში შემალავს...

\*\*\*  
**„მალა მწვერვალებზე, გზასთან არის, გზათა შესაყარზე დგას იგი; კარიბჭესთან, ქალაქის პირთან, ღია კარებში მღერის იგი“... იგავნი სოლომონისა, მ, 2-3;**

უთხარი სიბრძნეს, ჩემი ძმა ხარ-თქო და მეგობარი უნოდე ჭკუას, ის ყველგან არის და თუ ისურვებ, დახმარებაზე არ გეტყვის უარს. შეგხვდება ხიდეზე, თუ მდინარისპირ, თუ სამყურების მინდორზე დამჯდარს, ის ყველგანაა, ქალაქში, სოფლად, გულებში, სადაც მორთოლვარე განდა. თითქოს ძმა არის, თითქოს დედაა, მოყვრებს გვიჩენს და ეშმაკს არ იტანს, სიყვარულია სიბრძნე უფლისა, შემოსვლას ითხოვს ღია კარიდან...

\*\*\*  
მონმენდილ ცაზე გადაიფრენენ უცხო ჩიტები, უცხო გალობით, გამოსულები გზისპირ იფნები ცაში, ფრთოსნებთან ასვლას ლამობენ,

ბედს აავსებენ საყვედურებით, რომ ვერ მიფრენენ და აქ გაქვავდნენ... ხმაგაკმენდილი ნაკადულები დააკვებია ჩქერალ ნაკადებს. ცაზე დაკიდა თეთრი ლენტები, სულ სამი ფერი შერჩა თებერვალს, ველს დაესიზმრა მისი წყალობით: თრიმლის ფოთოლზე მორთოლავ პეპელას როგორ მოუნდა გამოღვიძება და მზით მოფენილ ველზე ტირილი... გადმოაბრუნა ქარმა ბელტები და შიგ ჩათესა თესლი გვირილის, ერთი ფოთოლიც ვერ გააჩინა, აგებს ყინულის მწველ პირამიდას, ანქრევს ქარბუქებს, ბებერ ალქაჯს ჰგავს, ვერ გადაიქცა კეთილ ამინდად, ვინ გააცილებს და რაც დააკლდა, ვინ აგვაცილებს იმ ავს თავიდან...

\*\*\*  
ნაზად მეფერება სიო, ნაზად ჩადის მზე მიღმიეთს, მარტო ვარ და ისე მცივა, კარიც ველარ გამილია, მეოტიის ტბიდან გემი თეთრი აფრით შემოცურდა, შაქისა და ხოის ხანი მოჰყვანენ ტრაპიზონელ სულთანს. ზღვას გავყურებ მონყენილი და ძლივს გასაგონად ვსუნთქავ...

\*\*\*  
**„ლამპარია ჩემი ფეხისთვის სიტყვა შენი და სინათლე ჩემი ბილიკისთვის“... ფს. 118, 105;**

უფალო, შენი სიტყვა მაცოცხლებს, — ლამპარია ჩემი ფეხისთვის და სინათლე ჩემი ბილიკისთვის, აქ ყველა ტყუის, ვინც ამ ლამპრით არ დაიარება, ძილიც კი არ არის მშვიდი, — ისიც მძვინვარებს, შენ მდინარე ხარ... და მდინარე სიმართლეს ჰყვება, ეს ტყეც უფრო გვაგებინებს სათქმელს, ვიდრე სიტყვები ახლობელთა, ტალღა მიედინება, ნისლის ფარა მიედინება, მწვერვალების უსიტყვო ელვაც რალაცას ამბობს, უფლის მთისკენ მიდის მლოცველი და მომინოდებს, ჟამი მილიონებს ითვლის, და რა არის მილიონი!... ჩვენ კი ნუთისოფელში ვბორიალებთ, გულგრილობის სენით ავადმყოფებს — ერთმანეთის მოსმენა გვინდა, მაგრამ არ გვესმის ერთმანეთის, მდინარე უფრო უბრალოა, ტყე უფრო გვაგებინებს სათქმელს, ვიდრე სიტყვები აქაურთა, მარტო შენი სიტყვაა მართალი, — ლამპარია ჩემი ფეხისთვის და სინათლე ჩემი ბილიკისთვის...

**მარიობის მარხვა**  
ფერიცვალობაა, მარიობის მარხვა, ცირცვლები ჰყვავიან, შემოსილნი თალხად, ჭრიჭინების ხმაური ბაღში ისმის გაბმით, გუნდი გალობს ტკბილად და ჰანგებში მმარხავს. დიდის ამბით დადის ნაზ მინდვრებზე ქარი, ზურმუხტის თვლებს ქარგავს მარიობის ღამე, წმინდა წყლებით რეცხავს და არბილებს ყოფას, მეფინება სულზე სახარების სტროფად, ცუდად მოსაგონარ დღეებს ყოფა მარხავს, რა მსუბუქად გადის მარიობის მარხვა!...

**ნიფობისთქვა**  
დამძიმდა მინა და რომ არ დადგეს, მეც ჩამომავრდნო თავი დალოლიმა, ის ნუხს ჩემს გამო, მე კი ვამშვიდებ: — ნუ წვალობ, დაო, დარდად არ ვლირვარ... მიღმიერის გზას ერთად გავუყვებთ, გადავიაროთ ველიც, მწვერვალც, მინიერების ყველა წვრილმანის დამწუნებელი ბედის მწერალით — დავუძვრეთ ჟამს და იქ მივაშუროთ, სადაც გვეგულის სახლი ლაჟვარდის, სადაც დადიან ანგელოზები, მზე კი არ ჩადის — სულზე ნაზად დის. სადაც ვერავინ შეგვევიწროებს და ვაზის რქანი, ცამდე ნაზარდნი —

იყვავილებენ ისე საამოდ, თითქოსდა მინით ცასთან დავზავდით... იქ ხომ სიყვარულს არ საკლისობენ, კრიალებს, ელავს სივრცე ნასარკი... ეს ნიფობისთქემ რომ გაიგონა, სულ დაავიწყდა ჩვენი ასაკი, ხელი ჩამკიდა, არც მე მახსოვდა — ჟამი ვერავინ რას სთესს, რასა მკის... ელავს ლაჟვარდი ახალშობილი, სადაც უჩუმრად ნატვრებს ემარხავდით,



ციურ მდინარეს მივსდევ, გეძახი:  
— არ ღირს იდარდო, დაო, ნახვამდის...

\*\*\*  
გაღწა ზაფხული,  
ჭრიჭინები არ ღლიან ეზოს,  
არც ოფოფები გვაოცებენ ახალ ამბებით,  
გავცდები კვლავაც ნიფობისთვის ნაღვლიან სეზონს  
და შემოდგომის ჩუმ შრიალში ჩავბინავდები.  
აღარ მალეღვებს მოღალატის ჭრელი ხალათი,  
მე მარტობის ქვაბულებში  
ვექებ ჭეშმარიტს,  
მარადიულთან შედარებით რაა ღალატი,  
უფლის ძალასთან შედარებით —  
ძალა ეშმაკის...

\*\*\*  
ფარდაგი, რომლითაც მინა გადაფარა ღმერთმა,  
მოხატულია და ლივლივებს ჰაეროვან ეშხით,  
ო, კიპარისებო, მწვანე წვეროთი რომ ფეთქავთ,  
ცას ისე ებჯინებით, როგორც მე, —  
ცრემლი მებჯინება ყელში.

მიყვარხარ, დედამინავე,  
როცა მონასავით წრეებს  
მოავლებ მზის ირგვლივ,  
როგორც მე — სიყვარულის ირგვლივ,  
აპოზენ მტრედები ცად ნისლთა მშვენიერ შრეებს  
და ხატზე სხდებიან ნაზი ფრთით —  
ღვთისმშობლის მირქმის...

\*\*\*  
**„რა დაგემართა, ზღვაო, რომ გაიქეცი,  
და იორდანეც, უკან აბრუნდი?..“**  
ფს. 113,5

ფაზისო, კალაპოტგანიერო,  
მომდინარევე მდუმარედ და ნაზად,  
რატომ გაიქეცი პონტოდან და  
ფასისის მთაზე რად დაბრუნდი!..  
ჩემი არქენინაპრების სული ხომ არა ხარ,  
აიეტის, მედეას, აფსირტეს სული,  
ქალკიოპეს კვიცილი ხომ არ იმის შენს ტალღებში,  
ოცნებების დენა ხომ არა ხარ ტაოხთა და ლაზთა,  
რა მოხდა, თუ ხმას ამოიღებ  
და გულის ფსკერში ჩამახედებ, ფაზისო!..  
დიდი დედა-რეა სადაც ტირის,  
პონტო შავია და მოღრუბლული,  
ფაზისო, დამელაპარაკე  
ნარსულზე, რომელიც ლეგენდამ გაიტაცა,  
ვით ოქროს სანძისი, არესის ქალიდან...  
დამფრთხალ ხოხობივით ბინდში ქარის ქროლვავ,  
ნაზი და განწირული ქალის ხმავე ტალღიდან, —  
შენივითულო ფრიქსეს და იაზონის სურვილებს,  
რომელთა ახდენა ღალატი იყო...  
იის სურნელებავ, კოლხურო ნანავ,  
ლაზური სიმღერის სიტკბოვ და ნეტარებავ,  
ფაზისში იღვრები, —  
დიდ და ლამაზ მდინარეში  
და ისე ჩაედინები არა შავ ზღვაში, —  
არამედ ჩემს სულში, ფაზისო!..

\*\*\*  
**„შემინახე თვალისჩინივით,  
შენი ფრთების ჩრდილქვეშ შემეფარე“...“**  
2შჯ.32,10, ფს.35,8; ზაქ.2,8

მარტოსულს მარტო შენ თუ მიპოვი,  
მიპოვე და დამიფარე,  
შემინახე თვალისჩინივით,  
არაფერია ამქვეყნად ისეთი, —  
შენ სიყვარულს რომ შეედრებოდეს, უფალო,  
ყველაფერი შენშია და შენგან ჩვენს სულში  
სიყვარულად გადმოდინდება,  
ნეტავ წვეთი მაინც მერგოს ამ ბედნიერების,  
არავინ თქვას, სიყვარული დაბერდაო,  
განა ბერდება ჰაერი ან წყალი,  
ანდა მინა, რომელზედაც ცისთვალევი ჰყვავიან,  
სიყვარულით სავსე ჩემი სულიც არ ბერდება,  
შენკენ ივლის და შენით იქნება...  
„შემინახე თვალისჩინივით,  
შენი ფრთების ჩრდილქვეშ შემეფარე“ ...

\*\*\*  
ჩუმად ამბობს მებაღე, რომ იცვალენ დროები!..  
ყვავილებიც შეთანხმდნენ, რომ დრო ქარმა არია,  
შემოდგომის ფოთლები მიჰყვებიან ნოემბერს,  
შემოდგომის პეპლები ყვავილებს მიჰპარვიან...  
ცურავს ნისლი ცრემლიან ოცნებების ფამისა,  
მალავ, მაგრამ ვერ მალავ დარდის ამოფეთქებას,  
მწუხრი მიაჩუმათებს ყურძნის ნურვას, ჩალის ხმას,  
გადამალულ იმ დარდასაც, ამ ლექსით რომ გეთქმება...  
მწვანეც იყო და ლურჯიც, ახლა ქედი შავია,  
მარტივია ეს ფერი, შლის სიშავის მატებით,  
ეს საღამოც და ლექსიც — შენი კაემანია,  
შემოდგომის პეპლებით, კვამლში მოფარფატენით...

**მარიამოზის ღამე**  
დის მდინარე, თითქოს მისი  
ტანი სხვიის ღვარია,  
წევს მდინარე და ირწევა მინის მშვიდი აკვანით,  
გული დაწყნარებულია, ისე მშვიდი ღამეა —  
თავს ვეღვ დედის კალთაში და მათობს ზეცის კამკამი...  
ღვთისმშობელო, დედაჩემო, კაბის სუნით მაბრუნებ,  
ეზო ჩვენი უფლისაა, ანგელოზთა საფრენი,  
ამ საღამოს მნიფე ხილის მოტკბო სუნში ჩაფლულეებს —  
მარიობის სასწაულით აგვავსებენ დაფნები.  
ჰორიზონტი გადმოხრილა მინამდე და ფერებას  
ცდილობს ჩვენსას, მლოცველები წმინდა ღამეს ეკვირან,  
მიმზიდველი მთებითა და უღურჯესი სერებით  
დგას ქვეყანა და იმაგრებს თავზე გვირგვინს ეკლიანს.  
ტაძრებს სანთლის სუნი ავსებთ,  
წყლებში ნათლის ჩქამია,  
და ჭრიჭინა აისამდე მღერის გაუჩერებლად...  
სხვაგვარია ყველაფერი, მარიობის ღამეა,  
ღვთისმშობელი, დედის ტკბილი  
ხმით ყველას გვეფერება...

\*\*\*  
**„რადგან ზამთრის ჭირხლივით  
დადნება უმადური სასოება და  
უსარგებლო წყალივით დაიღვრება“.**  
სიბრძნე სოლომონისა, 16-29

ზამთარი ისე შემოიპარა, როგორც ნაღველი  
ასაკთან ერთად,  
რა სევდიანად უკრავს გიტარა, ნათელი  
როგორ ერთდება ბნელთან...  
პატარა ჩიტი აწყდება ჯგბირს, ჩამოვარდნილი  
ცივ ტბაში ხიდან,  
აღდგომის მარხვას ხვდებიან ბზები,  
თოვლს იბერტყავენ დაჭირხლულ მხრიდან.  
ვსასოებ ჩემთვის და ვინანიებ,  
ვწერ ჩემს ცხოვრებას სევდიან სტროფად,  
ღვინოდ ქცეული წყალი დავლიე და  
მადლიერმა ვიხილე ყოფა.  
შვების ცრემლები ჩუმად მომცვივა,  
ცოდვა-მადლს ლოცვის სიკეთით ვლობავ,  
ბედნიერი და უფლის მორჩილი  
არ ვეპუები ჟინიან ქოფაკს...  
რაც მოვიპოვე ახლა ამ ღვინით,  
— უზენაესის კეთილი ნება —  
მისით სასოებს სულ დაღლილი  
და ზამთრის ცივი ჭირხლივით დნება.

\*\*\*  
**„მინათმოქმედი იყო თუ მწყემსი,  
თუ უდაბნოში მომუშავე,  
ყველანი გარდაუვალ ხვედრს დაემორჩილენ,  
რადგან წყვდიადის ერთი ჯაჭვით  
იყვნენ შეკრულნი“.**  
სიბრძნე სოლომონისა, 17-16

ფარფატი პეპლის და ჭაღებში ქარების სტვენა,  
ზღვა თვალწვედენი, რომ აცილებს ტალღებს აფრიანს,  
ტკბილი გალობა ჩიტებისა, ლოდების ცვენა  
და წყლისპირებზე მოხტუნავე ქარიყლაპია.  
უეცარ ელვას აყოლილი გულის ხმაური,  
ქუხილი მთებში და მზით დამსკდარ ნაბლების გარდა,  
მხეცთა ღრიალი და ბუნების აურზაური,  
ჩვეულებრივად ამქვეყნად რომ არავის არ ჰგავს,  
მშვენიერებით აგრერივად შესხმულ-შემეკული —  
გაქრა ყოველი, უჩინარი სისწრაფით გაქრა,  
რადგან წყვდიადის ერთი ძაფით იყო შეკრული,  
ის კი უბრალოდ არავის და არაფერს არ კრავს...

**ჩაში კაპაზი**  
ჩუმად დაბერდნენ ჩემი კაბები,  
ჩამოინიეს ჩუმად კოჭისკენ,  
თითქოსდა მინა იზიდავდეთ და ეძახოდეთ.  
ისინი იყვნენ ადრე მოკლენი, მხიარულები და  
მჭვირვალენი,  
მოკისკისენი და თამამები —  
ულიმოდნენ გულლიად ყველას.  
ახლა კი ჩუმად ჩამოიმჩვარნენ,  
დაუშვნენ ნელა მინისკენ,  
ჩამუქდნენ, ჩაკვდნენ  
და დედაბრულად მოიწყინეს ჩემმა კაბებმა...

\*\*\*  
ბოლთას სცემს თითქოსდა  
მწვერვალთა ფუქსთან ვილაც  
და ღამე, დროდადრო, მთებს სტაცებს  
ვარსკვლავთა ქორედს,  
ხმაურობს წისკილი,  
მდინარე გადადის მიღმა  
და ესაუბრება სული — მარტოხელა, შორეთს.

ირგვლივ უხილავი კვალი სამყაროსი მოჩანს,  
ვცხოვრობ არარსებულ  
და სიზმრით მოხილულ ხიბლში,

როცა სინამდვილე ასე იბინდება, — მორჩა, —  
ღამე სიყვარულის  
მშვენიერ ფაიფურს მიფშენის...

\*\*\*  
იძირება სავანეში ვარსკვლავთცვენა აგვისტოსი,  
ტყეში ქარი ნავარდობს და ახლადგაშლილ  
ნარგიზს კოცნის,  
ჩვენ თუ სულით შევერთდებით,  
სიყვარულით შევერთდებით —

ვარსკვლავებსაც კი დავჩრდილავთ სავანეში, აგვისტოში.  
შორს, გადაღმა, ცხრა მთას იქით,  
ცხამი დაღლილ ხატებს კოცნის,  
ტყე სიამით ეფერება ცირცელებს და ყვავილს მოცვის,  
ო, ეს ღამე აგვისტოსი სიცხის ტოტით იკანრება,  
გამაფრთხილებს ავგუსტუსი: ჩაიარეს ტყის კაცებმა.  
მე კი ვმღერი, მღერის ღამეც  
და მითიურ კამარებს შლის,  
ვარსკვლავთცვენას შერეული უფალს ვექებ სავანეში...

\*\*\*  
ეულია ეს საღამო, ეს ქარი და ჭრიჭინაც კი,  
რაც კი თავი მახსოვს, ასე ჭრიჭინებს და იმალება,  
თავთან მარტო დარჩენილმა გავსენ მოგონების ნასკვი,  
—  
ასწილ დაფარულის ვიგრძენ მიუნწვდომი ბრწყინვალეობა...  
ფრთხილად ვუყვოვ თითებს ზონარს,  
ძველ წერილებს ვაცლი ჩრჩილებს,  
მზე ღრუბლებში იმალება, სულიდან კი დარდი ჟონავს,  
იდუმალი ნატერის ქარი წარსავლისკენ გამაცილებს  
და უჩუმრად კვლავ განასკვავს  
ძველი წერილების ზონარს...

\*\*\*  
შეშინებულ ხმებს გამოსცემენ ბალის ვაშლები,  
ჩრდილები განზე ისე გარბიან,  
ღამის ბინდში რომ სიმშვიდისათვის ვეთამაშები —  
ყვითელ ფარდაზე მიხატული ბაობაბია...  
ჩრდილებთან ერთად გზებიც გარბიან,  
გარბიან წლებიც, — ჩვენი დამრბევი,  
მეზაყეები დგანან ბალთან, ხმები ყალბი აქვთ  
და შიშით თრთიან ბაობაბები...

\*\*\*  
ყველა, ვინც წვალობს,  
უბედობით ვინც იტანჯება —  
ერთნაირად ვსჯით, ერთნაირად  
ვემობთ და ვიყვარებთ,  
ჩვენი ზედმეტი ერთი თეთრიც არ იხარჯება —  
ცხოვრებისაგან ისე გვრიყავენ.  
ზარდამცემია, ამაზრზენი, ბევრი ამბავი,  
ზნეობის ანბანს ვერ იხსენებს ერთი ვანდალიც...  
— ასე რად არის? — არ ვკითხულობ კარგა ხანია,  
რადგან ვერავინ მიპასუხებს, ასე რად არის...

\*\*\*  
დასანანია, გასულია უკვე ზაფხული,  
ეზოში დახტის მოლაღური,  
კეკლუცობს ოფოფი,  
ალვის ხე არის ოცი სართული  
და კენწეროთი ცას ევლება  
შოპენის ოფორტი...  
უნაზეს კაბას მანდილოსნისა  
ისევე ამშვენებს  
ჩუმი სიმორე მოლოდინის,  
ვარდის წყლით ნაპკური,  
აგერ რომ დახტის, — ეს ჟიჟჟავი ჭორებს ავრცელებს  
ამ ეზოებში მთელი ზაფხული...

**აღდგომის ღამე**  
ამ წმინდა ღამეს  
მენამული ფერები ფლობენ,  
სალ კლდეებზე კი —  
კელაპტრების შუქი გადარბის,  
— ქრისტე აღსდგაო! —  
მწვერვალები ვარსკვლავებს ხმობენ,  
— ჭეშმარიტადო, —  
დედამინის ისმის ღალადი...








დასაწყისი პირველ გვერდზე

კლდიაშვილის მკითხველს სიმონეთი ერთხელაც რომ არ ენახოს, მწერლის ეზო-კარში შევიდეთ. შევიდეთ თანავე აუცილებლად დაუფლავს გრძობა, რომ ამ სოფელს, ამ კარ-მიდამოსაც კარგად იცნობს, აქ არაერთხელ ყოფილა. ჭიშკრიდანვე მოისმის იმერული ჰანგები. ეზოს სიღრმეში, სახელდახელოდ გამართულ სცენაზე, ქართული ფოლკლორული ჯგუფები ერთმანეთს ენაცვლებიან, სიმღერას ცეკვა მოსდევს. აივანზე ყაბალახმომხვეული „აზნაურები“ და საგულდაგულოდ მოკაზმული „კაროუნები“ სხედან. ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები მალე გაითამაშებენ „დარისპანის გასაჭირს“, რომელიც რეჟისორმა ზაალ ჩიქობავამ დადგა. სახლის გარშემო მწვანე მოლი ხალიჩასავით აგია. ეზოში ხის მრგვალი მაგიდა დაუდგამთ, ზედ კი ჩაისთვის სამოვარი და თლილი ჭიქები დაულაგებიათ. კლასიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების გზისთვის თვალმიდევნებულს ანმეოში დაგაბრუნებთ ცნობილი თანამედროვე ავტორის რეზო ჭიქვილიის დანახვა. სწორედ მის კალამს ეკუთვნის ფილმ „მიქელას“ სცენარი, რომელიც კლდიაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ გადაიღო. დიდი მწერლის მოთხრობებზე ბატონ რეზოს არაერთი სცენარი შეუქმნია. მათ შორის — ელდარ შენგელაიას ფილმისთვის „სამანიშვილის დედინაცვალი“, დავით რონდელის ნამუშევრისთვის „ბაკულას ღორები“. მანვე დანერგა ტექსტი რეჟისორ ბიძინა რაჭ-

ველიშვილის მიერ 1976 წელს კლდიაშვილის ეულ მოტივებზე გადაღებული „დაკარგული სამოთხეს“ განახლებული ვერსიითვის. ბატონი რეზო სეველიანი ჩანს: „კარგი დღეა, შემოდგომის მშვენიერი დღე. შესანიშნავი სოფელია. რაც მთავარია, დიდი მწერლის სახლ-კარი, ოდა მშვენივრადაა შენახული. როგორც კლდიაშვილი, არ შეიქმნებოდა დარისპანის სახე, არც კაროუნა იქნებოდა. მათ გარეშე კი წარმოდგენილია ქართული დრამატურგია. ამ პერსონაჟებმა დროს გაუძღეს. რაც შეეხება მიქელას, რომლის სახელსაც დავითის მოთხრობა ატარებს, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა ელდარ შენგელაიამ ფილმზე მუშაობას იწყებდა. მახსოვს, სადღაც ქვევით ცხოვრობდა...“  
საქართველოს კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ღია ცის ქვეშ მოწყობილი ფოტო-გამოფენით ინტერესდებიან. მათ ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს ერთ-ერთი ფოტო, რომელზეც ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფია აღბეჭდილი. მათ შორის — დავით კლდიაშვილი, ტიცინა ტაბიძე, იროდიონ ევდოშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, ვარლამ რუხაძე, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონი და აკაკი. ფოტო XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისის ერთ-ერთ „საოჯახო ბაღში“ გადასახლებიდან დაბრუნებული იროდიონ ევდოშვილის საპატივსაცემოდ გამართული ლიტერატურული საღამოს შემდეგ არის გადაღებული. სურათი ნიკო საღარაძეს ეკუთვნის. დავით კლდიაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ურთიერთობას ასახავს 1913 წელს



„მსოფლიოს აღმოსაჩენი ჰყავს“...

გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში, ეგრეთ ნოდებულ ისიდორე კვიციანიძის კანტორაში გადაღებული ფოტო. სხვა სურათებზე კი დავით კლდიაშვილი იოსებ გრიშაშვილთან და ვასო აბაშიძესთან ერთად არის აღბეჭდილი. თითქმის ყველა ფოტოში მას სამხედრო ფორმა აცვია.  
ეზოს ბოლოში ქართველ მწერალთა და დრამატურგთა წიგნების გამოფენა-გაყიდვაა გამართული. წიგნის გარეშე მწერლის იუბილე, აბა, როგორ იქნება? იქვეა წარმოდგენილი ქართული რენვის ნიმუშებიც. მშვენივრად შემონახულ ნალიასთან სიმონეთელები დგანან, შემოდგომის ნობათით ინონებენ თავს, „იმერულ“ ჩურჩხელებს ავლებენ.  
კაკლის, კომპის, ბრონეულისა და ატმის ხეების ჩრდილქვეშ მოწყობილი ფოტო-გამოფენა დავით კლდიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს. ფოტოები იმგვარადაა გამოფენილი, თითქოს მათზე გამოსახული ადამიანები ეზოში დასეირნობენ და სტუმრად მისულ ხალხს ღიმილით ხვდებიან. ბევრი მცხუნვარე მზეს სამსაუკუნოვანი მუხის ტოტებქვეშ ემალება. ძალზე შთამბეჭდავი სანახაობაა. აქაურობის თვალყურისას თვალწინ გაგიცოცხლებათ ყველაფერი ის, რაც ოდესმე დავით კლდიაშვილის ბიოგრაფიის შესახებ ნაციკითხავთ.  
მწერალი აქ დაიბადა 1862 წლის თერთმეტ სექტემბერს. მისი მშობლები გალარბებულნი აზნაურები იყვნენ. წერაკითხვა დედამ ასწავლა და მოგვიანებით, რუსულს რომ დაუფლებოდა, ქუთაისში მცხოვრები რუსი ეროვნების ექიმის ოჯახში მიაბარეს. ხოლო მას შემდეგ, რაც კივის სამხედრო გიმნაზია და მოსკოვის სა-

მხედრო სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა, ლამის ახლიდან მოუწია მშობლიური ენის შესწავლა. ბათუმში თოფ-იარაღის შემკეთებელი სახელოსნოს უფროსად განაწესეს. მერე იგონებდა: „პატარა ქალაქი, თუკი შეიძლება მისთვის ქალაქის სახელის მიკუთვნება, მდებარეობდა ზღვის პირად. ზღვის პირადვე იყო ბაზარი, პატარა, დაბალი ქობახები — ვითომ მაღაზიები, რამდენიმე ქუჩა, ვინრო და მოუკირნლავი. ქალაქის გარშემო გაბნეული იყო ღარიბთა ფაცხები. ქალაქის გარშემო ადგილები ჭაობებით იყო დაფარული... სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებით იყო აჭრელებული ბათუმი. ძირძველ ქართველებთან ერთად აქ იყვნენ: რუსები, სომხები, ბერძნები, თათრები, აფხაზები, ზანგები... ქალაქში არავითარი გასართობი არ მოიპოვებოდა. იყო მხოლოდ სამოქალაქო სასწავლებელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.“  
ბათუმში ოცდაექვსი წელიწადი დაჰყო და ქალაქმაც მის თვალწინ იცვალა სახე. აშენდა სანარმოები, სანავთობო ქარხნები, გაიმართა საკომუნიკაციო სისტემები. დავით კლდიაშვილმა სწორედ იმ დროიდან დაიწყო აქტიური საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობა და ჟურნალ „თეატრონიში“ თავისი მხატვრული თარგმანები გამოაქვეყნა.  
ჯერ კიდევ დიდი დრო იყო 1893-მდე, სანამ ქართველი მკითხველი მისი პირველი ორიგინალური ნაწარმოების მთავარ გმირს, სიხარბით შეპყრობილ კაცია საგუნაშვილს გაიცნობდა. მოთხრობა ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა. გლეხი კაცის შემდეგ უმცირესასა და ცრურწმენებს ემს-







ვერპლენ მარინე და ფეფენა. მოთხრობა „მსხვერპლი“ ავტორმა 1894 წელს გამოაქვეყნა. მას მოჰყვა „მიქელა“.

1905 წლის რევოლუცია რომ მოხდა, სამხედრო განათლების მქონე მწერალი, როგორც მეფის რუსეთისთვის არაკეთილსაიმედო პოდპოლკოვნიკი და საკუთარი ერის ერთგული მამულიშვილი სამხედრო სამსახურიდან იძულებით გადააყენეს. მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ „მკაცრ, თვალჭროლა, სერვანტისივით გამხდარსა და გამხმარ კაცს“ თავისი ქვეყანა შეურაცხყოფისგან არაერთხელ დაუცავს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ბათუმში მოხდა. ეს ამბავი მურმან ლებანიძემ პოეტურად აღწერა ლექსში, რომელიც მწერალს მიუძღვნა: „შეფს „ჩერნომორსკი ვესტნიკისას“, რედაქტორს შავბნელს, ჩვენს ქართველ ხალხზე დიდმპყრობლურად აუგის მფლანგულს, ვინმე პალმს გვარად, მიაფერთხა ცხვირ-პირში ზიზღით ხელთათმანი და გასწორება მოსთხოვა სისხლით“. დუელი არ შედგა, რადგან შეშინებული პალმი (ამბობენ, რომ მან ჯერ გაზეთის საშუალებით მოიხადა ბოდიში) დავით კლდიაშვილის რისხვას ოდესაში გაექცა.

ბათუმის დატოვების შემდეგ, სადაც ოცდაექვსი წელიწადი გაატარა, მწერლის ცხოვრება „უფერულად“ გაგრძელდა ქუთაისში. ქალაქის თვითმმართველობის გამგეობის წევრის, კოტე ბაქრაძის მონაღიზებით ის ამავე გამგეობაში რიგით თანამშრომლად მოექცა. მოგვიანებით ქუთაისის ახლადგახსნილ უნივერსიტეტში დაინიშნა მუშაობა და ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ჩაება. იმავე პერიოდში დავითი აკაკის მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის „ამხანაგად“ აირჩიეს. შემდეგ „მეორე დიდებული მგოსანი“ ვაჟა-ფშაველა გაიცნო. ვაჟა ქუთაისში მიუწვევიათ, სადაც მისთვის ლიტერატურული საღამო გაუმართავთ. ამ ამბავს კლდიაშვილი ასე იგონებდა: „სული ამოართვეს პოეტს, იმდენი ლექსი ათქმევინეს. მის საპატივცემულოდ გამართულ ბანკეტზე იმდენი ქება-დიდება, მონივნება ესმოდა, მაგრამ იგი ისევ უბრალო, თავმდაბალი ვაჟა იყო, საყვარელი ვაჟა, გაჭირვებაში მყოფი, ვაჟაკურად მებრძოლი ამ გაჭირვებასთან, რომელშიაც კიდევაც დალია თავისი კურთხეული სული“.

ქუთაისის შემდეგ, სანამ ოსმალეთის ფრონტზე გაინვედნენ, ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის სამმართველოში მუშაობდა. ფრონტზე კი თურქეთში იძულებით გადასახლებული ჭანების გამოსარჩლებლისთვის ძლივს გადაურჩა სავიწრო სასამართლოს. 1917 წელს ჯანმრთელო-

ბაშერყეული მწერალი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.

„დარისპანის გასაჭირამდე“ მწერალმა „ირინეს ბედნიერება“ დაწერა. იმერეთის გალარებულ, ხელმოკლე აზნაურთა „უსაშველო, გაძალღებული ცხოვრების“ მხატვრული მრავალსახოვანი მატრიანე კი „სოლომან მორბელაძით“ დაიწყო.

1914 წელს დავით კლდიაშვილმა წერა შეწყვიტა. მკითხველმა მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგ იხილა მისი ახალი თხზულება „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელიც დღემდე ქართული მემუარული ლიტერატურის მშვენიერებაა. ამავე პერიოდში იბეჭდება მისი მოთხრობები: „შუა ცეცხლის პირას“ და „კიმოთე მეშველიძე“.

1930-ში სამოცდაათს მიღწეულ მწერალს ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს. ის პირველი ქართველი შემოქმედია, რომელსაც რესპუბლიკის სახალხო მწერლის საპატიო წოდება მიენიჭა.

გალატაკებულ და გაკოტრებულ, მაგრამ უწინდებურად თავმოწონე აზნაურთა ცხოვრების ლიტერატურული ეპოპეა 1931 წელს მწერლის გარდაცვალებასთან ერთად დასრულდა.

„დღეს უდიდესი მწერლის, დავით კლდიაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს აღვნიშნავთ. იგი ქართული იდენტობის ნაწილია და ვაჟასთან, ილიასთან ერთად ჩვენი ვინაობის ერთ-ერთი ხეობაა. მისი სინთოთი, იუმორით გაყვლითილი პროზა იქამდე იცოცხლებს, სანამ საქართველო იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვიმყოფებით აქ, დავით კლდიაშვილის მშობლიურ სოფელში — სიმონეთში, მის კარმიდამოში, სადაც დაიბადა და სადაც, უამრავი მსოფლიო შედეგის შექმნის შემდეგ, გარდაიცვალა. ბუნებრივია, მისი სახლ-მუზეუმი განახლებას, რეაბილიტაციას საჭიროებს, რაშიც მთლიანად ვიქნებით ჩართული. რაც შეეხება მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ამაზე შეიძლება საათობით ვილაპარაკოთ, ამას ვერცერთი საგაზეთო ფორმატი ვერ დაიტევს. ჩემი აზრით, მსოფლიოს დავით კლდიაშვილი აღმოსაჩენი ჰყავს...“

მახარებს ის, რომ უამრავი ადამიანი შეიკრიბა ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად და იუბილემ სახალხო დღესასწაულის სახე მიიღო. ხალხი ასე გამოხატავს მწერლისადმი სიყვარულს და მის შემოქმედებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. დავით კლდიაშვილი უბრალოდ კარგი მწერალი კი არა, დიდი შემოქმედია. უფრო მეტიც — ის დიდი ქართველია. ეს ხალხმრავლობა კი ნიშნავს, რომ მტკიცეა რწმენა ჩვენს თავში და დღის სიყვარული ჩვე-

ნი ქვეყნისა.

რჩეული ნაწარმოებების ან მრავალტომეულის ხელახლა გამოცემა და მწერლის შემოქმედების გარემო ლიტერატურული დისკუსიის განახლება ახლა ყველაზე მნიშვნელოვნად მიმდინარეობს. კლდიაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ახალი სიცოცხლე უნდა მივცეთ, ეს დიდი შემოქმედი ახალგაზრდობას უნდა გავაცნოთ. უახლოეს მომავალში მწერლის ნაწარმოებების ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე თარგმნასა და გამოცემაზე დავინიშნებთ მუშაობას. ენის ბარიერმა და რუსულმა პოლიტიკამ, რომლის მსხვერპლიც ნამდვილად იყო კლდიაშვილი, უცხოენოვანი მკითხველისთვის თითქმის უცნობი დატოვა მისი შემოქმედება. კლდიაშვილის თხზულებები არ უთარგმნიათ იმ რაოდენობით, მისი პროზისა თუ დრამატურგიის მასშტაბებიდან გამომდინარე რომ იმსახურებდა. დავით კლდიაშვილი ფრანსუა რაბლესა და მიგელ დე სერვანტესის ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელია. ის მეოცე საუკუნის ერთ-ერთი დიდი მწერალია, მარგალიტია, რომელიც აუცილებლად გაამდიდრებს მსოფლიო ლიტერატურას. ვულოცავ მის ყველა მკითხველს, მის შთამომავლებს და თავად მას ამ თარიღს, 150 წლის იუბილეს, — ასე შეაფასა დავით კლდიაშვილის განსაკუთრებული ღვაწლი და მნიშვნელობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

სალამოსკენ სუქტაკლიც იწყება. მაყურებელი დარისპანისა და მისი კაროჟნას გასაჭირზე კიდევ ერთხელ სევდიანობს და იცინის. კლდიაშვილის განუყოფელი ბავშვობა ხომ ესაა. „ერთი ხელით გულს დავიკოდავს, მეორეს ხელით მალამოს ნაცხებს... წარმოსადენად მომზადებულ ცრემლს თვალის გუბებში შეაჩერებს და ბაგებზედ გამოიწვევს ღიმილს, რომელიც ბოლოს სიცილად იქცევა. ეს კია, რომ დავით კლდიაშვილის ნაწერებისგან გამოწვეული სიცილი ყოველთვის ცრემლნარევი და ცრემლი სიცილის კარებთანა დგას“, — ყველა მკითხველისა თუ მაყურებლის სათქმელი თქვა კიტა აბაშიძემ.

ალბათ, მწერლის ეზოში მოსიარულე სტუმრებს არ ტოვებს მოლოდინი, რომ ამ კოპნიკა კარ-მიდამოს რომელიმე კუთხიდან საცაა გამოჩნდება ბეკინა სამანიშვილი, სიცოცხლის მიმწუხრზეც რომ არ ლალატობს ძველებურ წარმოდგენებს და ახალ დროებაზე გამწყარაღა. ვინ იცის, შესაძლოა სადმე მინის მუშად ქცეული, ცხოვრებისგან გატანჯული პლატონიც შეეფეთოს მოსულთ, ან ძველებურად, მოგონებებით მოცული მოხუცი ეკვირინე დაინახონ, მისი ვაჟის, ოტია ქაშუშაძის

დაჩვილება გაიგონონ, მეც, პლატონივით, თავი ვერა და ვერ დავაღწიე სიღარიბესო; ჭიშკარს მოადგება თავის განუყრელ ჯორზე ამხედრებული სოლომანი, მაჭანკლობით რომ შოულობს გროშებს და საგულდაგულოდ მომზადებული ტყუილების ბაღში გახვევს ქალაქელ სტუმრებს, რომელთა შორისაც, გამორიცხული არ არის, „ახალ ცხოვრებაზე დაგემილი“, გაქალაქებული პორფირე ბი-ამვილი და ბეგლარ ჯინჭარაძეც იყვნენ.

გასაკვირი არ იქნება, თუ „ყველაზე გულგატეხილი და ყველაზე გულდანწყვეტილი“ როსტომ მანველიძე დალანდა ვინმემ. აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ეს მათი სამფლობელოა. ბაკულის დამშეული ღორებისგან მოთმინებადაკარგული ცოლ-ქმარი, გალაქტიონი და ზენათიც აქვე იქნებიან, მაზრის სამმართველოს თარჯიმნის, ალექსანდრე შარიქაძის წინაშე განწირული სახეებით ატუზულები, მეზობელი უნდა შეგვიშინო. სერაფიონ გორდელაძის ხმაც გაისმება ჰაერში: „მამაჩემი, აზნაური ქაიხოსრო გორდელაძე რომ ნამოდგეს საფლავიდან და რაიმე აწყენიოს ჩემს კუსიას, იმას ჩავაბრუნებ საფლავში, თვარა სხვა რითი გადამირჩება, რომ ჩემს მაცხოვრებელს რაიმე მოსწიოს!... ძალით ვრჩები იმ ზომამდე მივალნიე პატიოსანმა აზნაურმა!“ დროა, სარდიონ ქველიძემაც გადაწყვიტოს ეკალასთან დაკავშირებული დავა, განა მოდავე მხარეები, ხან ერთი, ხანაც მეორე, ამდენი წელი ქათმებსა და ხაჭაპურებს ტყუილად „უნიკავენ“?!

დიდი მწერლის იუბილე დასასრულისკენ მიდის. ამ თარიღის აღსანიშნავად შეკრებილი სტუმრები ნელ-ნელა იშლებიან და თან მიაქვთ სიტბო, რომელიც ამ სახლ-კარის მასპინძელმა ასე უმურველად გაუნაწილა მთელ საქართველოს. მისი ვაჟი, სერგო კლდიაშვილი წერდა: „ჩვენი აღარ იყო იმ წუთიდან, როცა სოფლის ორღობებზე ხალხმა ნაიღო მისი კუბო თბილისისკენ მიმავალ მატარებელში მოსათავსებლად. ამიერიდან მისი ჭირისუფალი საქართველო იყო“.

დღესაც, დაბადებიდან 150 წლის თავზე, ყველა გრძნობს მის სიხლოვეს. მართალია, ისე არ გავგიმართლა, როგორც ერთხელ გრიგოლ რობაქიძეს, რომელმაც ქუჩაში „უფერო ნაბიჯით“ მიმავალი, მომცრო ტანის მოხუცი დაინახა სამხედრო პალატოში, თავზე რუსული ქუდი, „მხარბეჭზე — მოთეთრო ყაბალახით, ხელში — კარგა მოზრდილი ჯოხით“... თუმცა, მასთან შეხვედრა ხომ მის შემოქმედებაშიც შეიძლება?! გადავშლით დავით კლდიაშვილის ნიგნებს და გავგაოცებს „პათოსი გრძნობის გაზიარებს“.





ფერი ფარს...

დიდხანს ეძება! სად არ ეძება!  
იპოვა ბოლოს და მიენება...

\*\*\*

როგორც ქვევრებს – ზუსტად ისე  
სჭირდებაო ს ა ს უ ლ ე ლ ე ქ ს ს:  
ეს ს ა ს უ ლ ე შეიძლება  
ზოგჯერ იყოს ს ი ს უ ლ ე ლ ე ც!

ვალდან ამოსული ლექსპროზა

მოვიდნენ ნუხელ, სიზმარში, ღამით,  
და მომილოცეს: „ა შენ ნობელი!“  
მათი, ვინც ტკბილი მაჩუქა წამი,  
ოჯახი ვნახე აშენებული!

პოეტასას გასაგონად

მოუაროს ყველამ მის ცოლს,  
მოუაროს ყველამ მის ტრაკს!  
დაანებე, ქალო, თავი  
პლათს და გაბრიელა მისტრალს!

\*\*\*

ბოზებს დაკარგული აქვთ  
ორიენტაციები! —  
ესეც, ისიც — ყველანი  
არიან ტაციები!

\*\*\*

— ხელით, ფეხით – ცემა ისე,  
ჟეჟა ისე, ქოთა ისე –  
გაახსენა ციმბირი და  
დაავინყა ქუთაისი...

ხმით მოტირალი

ჩამხვდარია საიდუმლოს  
სიკვდილების მისტერიის –  
სხვებს მისტერიის ვითომ, მაგრამ  
სულს საკუთარს მისტერიის...

რჩევა ტარიკოს

არ გინდა კონიაკი და  
ღვინო და ღვინის მარანი! —  
სვი და სვი სვიის ლუდი და  
აყოლე თევზი – ტარანი!

\*\*\*

ირნეოდა, როგორც ზღვაში  
თევზით გავსებული ტრალი! —  
ყველაფერზე ეტყობოდა –  
იყო გახეთქილი მთვრალი...

ვეტარანი კომუნისტი

ვერ ჭიკჭიკებს ძველებურად,  
ვერ ტიკტიკებს, ვერ ტიკტი... –  
საუკუნემ კომუნისტსაც  
ჩაუკითხა ვერდიქტი!

\*\*\*

— რა პრეტენზიები უნდა მქონდეს  
სხვებთან –  
საკუთარმა ყელმაც ყელზე დამიკიდა!



სექსპროზა

ნაიყვანა იმ დღეს სვეტა  
და ტყუპები ჩაანვეთა!

ს ა მ ე ბ ა

ამ ტაძარში ლოცვების  
ვიღებ ისე უხვ დოზას –  
უფლის არსებობაში  
დაარწმუნებს  
უღვთოსაც...

თვითგაკვალოვა

კაცი ერთხანს – მიწაზეა,  
მერე მუდამ — ჰაერშია!  
...გადანწყვიტა: ორში ერთი  
იმ დღეს თვითონ აერჩია...

\*\*\*

წამოიზარდა. დაკაცდა. როგორც  
იტყვიან – დაღვინდა,  
და რაღაი რო დაღვინდა – ადგა,  
ღვინოში დაყვინთა...

ქნალად დასაჯარებალი  
ლექსპროზა

— შობელძალმა ქრთამის სახით  
საქართველო შემაძლია!  
ვერ ავიღე! ვერც ავიღებ!  
არაფრით არ შემიძლია!

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი

ისე ნელა, ლამაზად  
და სხვაგვარად თენდება,  
რა კარგი იქნებოდა  
ამ დღის და პ ა ტ ე ნ ტ ე ბ ა !

\*\*\*

ლექსის ცოდნაში ლექსმცოდნე  
შენს დედას შევეცილები!  
ვიცით ლექსი თუ არ ვიცით,  
დედას ვუყვარვართ შვილები!

\*\*\*

ღამდები – ეშმას წყალობით!  
უფლის წყალობით – თენდები!  
მამალმერთი და სატანა –  
მარადიული? – ტანდემი...

\*\*\*

გუნება გამომიკეთდა!  
ფიქრები გადამენმინდა! —  
მეც გამომიჩნდა სურვილი –  
კ ა ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა მ ე ც მ ი ნ დ ა !

\*\*\*

სავსეა ცხოვრება შეპირისპირებით –  
რუსთველის გმირებით!  
შექსპირის გმირებით!

დაკავებულია კაცი,  
დაანება თავი

— რაც რო წამოვიზარდე და  
რაც რო კბილი მოვიცვალე,  
იმის მერე სიკვდილისთვის  
ვერაფრით ვერ მოვიცალე!

ყინვა რუსეთში. პარსაქტივა

— ვინ ხარ! — უფალი? უფლის ბატონი?  
ნუ იმუქრები! ნუ იქადნები! —  
მაგ ყინულივით გულის პატრონი –  
მაგ ყინულივით მალე გადნები!

\*\*\*

— ჭკვიანურად გრიალებდა –  
სასმელს — ჰო და კაიფს – არა!  
გული ერთხელ, გული უცებ,  
გული მაინც გაიბზარა...

\*\*\*

თავს ბევრისას აძლევს  
ე პოეტი ნებას! —  
ჩუსტებით ჯომოლუნგმას  
ეპოტინება!

\*\*\*

— ფრთხილად იყავი, ძამა,  
მალე დაკარგავ ტიტულს!  
— ეს რა მითხარი, კაცო,  
ტიტულს დაკარგავ? ტიტუუუ!

ბინეკოლოგიური ლექსპროზა

— იხმარ კონტრაცეპტს? –  
ბოვში კოტრანეს!

შინაპარა

ერთადერთი, რაც ისწავლა,  
იყო კოცნის ანა-ბანა!  
ვერც გათხოვდა, ვერც გაბოზდა –  
დარჩა კოცნის ანაბარა...

მელომანი

სულ მოვლილი აქვს, რაც ოპერა და  
იმ ოპერებში – რაც ქანდარაა! —  
მუსიკის მცოდნე იდიოტი და  
არაფრის მცოდნე ლაზლანდარაა!





ლეკსპროზა ავრთხილავს ტრავიკინების პოტენციურ მსხვერპლს

სანამ ათს ერთად მოუკლავხარ, ჩემო დიანა, დაბრუნდი უკან ე მაგ დაშლილ ჩემოდნიანად!

იმაღის ნაპირკალი

დღეს ის მართავს - ნაძირალა - სოხუმს, მაგრამ სუ ხომ ის ვერ იქნება მბრძანებელი ძველქართული სოხუმის!

ლიქატორი

ვინც მოკლა ყველა დაიტირა - გული აქვს ჩვილი! ღმერთო, უცოცხლე მის ქვეყანას რჩეული შვილი!

\*\*\*

ქართველებო! თქვენც მიიღებთ შემოსავლებს დამატებითს, თუ გახდებით ჩოხოსნები ან ცნობილი თამადები!

ჯიბარს სიმღერა დაუწუნეს

არ უვარგა პატივცემულს მონაცემი ვოკალური: ტაშტის ხმა აქვს, ქერო ჩეჩენს ჯერ არა აქვს მოკალულო!

\*\*\*

უფლის კვართის პაროდია - გაცრეცილი ჩემი კვართი - ნეტა, ერთხელ გაგერეცხა... ..ფუჰ, რა ბებერს შემეყვარდი...

\*\*\*

როცა საუბრობთ ავანგარდზე, ნუ დაივიწყებთ ავა გარდენის!

\*\*\*

სინანულს ვერ ვმაღავ - ვიხსენებ მწერლების ტკბილ ოჯახს - ო ტ ა რ ი დ ს: ჭაბუა, ოთარი, ანა და თამაზი, გივი და ოთარი... ცხადია, ბოლომდეც ჩამოვთვლი, მით უფრო - ვიყავით ცოტანი...

ისევ პანკვილანტაჟის თემაზე

ჩამკვდარია კაცში გრძნობა - საწყისები სენსორული! ცოცხლობს მხოლოდ იმპულსები - კომუნისტურ-ცენზორული!

სიღვრის პორტრეტი

გაიღვიძებს. ჩაიცვამს. შევა, პროთეზს ჩაისვამს, მერე, თითქმის მთელი დღე, კარტსა შლის და ჩაის სვამს...

\*\*\*

— ადგე უნდა და რუსულად დაელაპარაკო!



— მაგალითად?  
— მაგალითად: „დაი, ლაპუ, რაკ“ - ო!

\*\*\*

— გაიხედე! გაიხედე!  
— მოხდა რამე?  
— გაიხადე...

მკრეხელი

ამ ორ სტრიქონს მაგ ათეისტ ცვედანს, ნაღდად ვიცი, შეარგებენ შხამად: „ღვთისმშობელი - სუროგატი დედა! მამაღმერთი - სუროგატი მამა!“

მოსუცი

სხეული სულ გაიღია - რა საბრალოდ ჩანან ძვლები! როგორცა ჩანს, მოსულია უკვე ჟამი ჩ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ს !

მარადიული ჭიბ

ამ მიწის ბრუნვა-ტრიალი არ დასრულდება ვიდრე - მე არსად წასვლას არ ვფიქრობ - ფეხს მეც თქვენსავით ვითრევ...

\*\*\*

წერს, და ნაწერს არც ასწორებს, არც შლის, არც წვავს, არც ხევის... ამიტომაც საქართველო მის ნაწერზე არწყვეს!

უკან ნაღებული სიტყვა

ისე, მეც კაი ვინმე ვარ! ვერ გავაჩერებ მეც ენას? - ყველაზე ძუნძუნ კაცს ვეძახდი ქველმოქმედსა და მეცენატს!

აუბტი

ტუტუცი ენატანია ტიტანებს ეტლიკინება! კოჩობას ტოლი ძლივსაა, აკაკის ეტლი კი ნებავს!

ანდერკაჟის ბაგო

ქართველი ლატაკები დაწერენ ანდერკებს - შურით ალავესებდა მეზღაპრე ანდერსენს!

\*\*\*

რა გირჩიო, რა გასწავლო ბრიყვ, უნიგნურ, ურჩ ხულიგანს! საიდანაც მოთრეული ყავლგასული ურჩხული ხარ!


\*\*\*

მონახეთ სადმე საფლავი - ვთქვათ, რომელიღაც მამფალის - და მეც მომსპეტ და მომკალით და ჩონჩხის გვერდით დამფალით...

ბექა ქურხული ბებო

დასასრული

ვნახო, თორემ ყველაფერს გადაგიყრით. — უნდა გადაუყარო, ტო, თორე ისე ამთ ვერ გააგებინებ! — გაიგეთ? უფროსობა მოდის და თქვენი გულისთვის სამსახურს ვერ დავკარგავ. გაიგე, ქალო, დავაი, აქედან! არ შეიძლება... — ჩვენ რაღა ვქნათ, შვილო, სად წავიდეთ? — არ შეიძლება. არ შეიძლება და ვსიო!.. სხვაგან წადით ან რაც გინდათ, ის ქენით. თუ არა და შედით ბაზარში. აბა, რა გინდათ, სამსახური უნდა დავკარგო თქვენი ვედრების გულისთვის?.. — ჩვენ გვიხარია აქ ჯდომა?.. ხალხი არა ვართ?.. დავიხოცოთ უნდა?.. სად წავიდეთ ეს გაუბედურებული ხალხი?.. — შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ, თორე აგაგორე აქედან. ეს ლტოლვილები ხო ვერ გაათრეის აქედან. ამათი ჩამოთრევის დღე, ტოო...



— ვაი, ჩემს დღეს და მოსწრებას, იქ ჩავმკვდარიყავი, იმ აფხაზეთში, ის მერჩივნა, ამდენ ნაშენებს და დამცირებას... — შენ საიდან ჩამოეთრე შენ... შენ თვითონ ჩამოთრეული... — შენ, ქალო, ხო არ გინდა, ენა ამოგაძრო! — პოლიციელი ვედროს ეცა. მეგრულმა ქალებმა ერთობლივი კივილი ატეხეს... — აააა! ხელი არ ახლო, თორემ თვალებს ამოგიღებ, იცოდე, ამითაა ობოლ შვილიშვილებს ლუკმა რომ უნდა მიეფუტანო, რა გინდათ, თქვენ ამოწყდით ისე, როგორც ჩვენ ამოწყდით და უარესად კიდო... ხალხი მოგროვდა. — რა გინდათ, ბიჭო, გაანებეთ თავი, — თქვა ერთმა დიდულვამა სვანურქუდიანმა კაცმა. პოლიციელებმა ცუდად შეხედეს, მაგრამ ხალხი სულ უფრო მჭიდროდ შემოერტყათ, იქით ქალები კიოდნენ... — ერთ საათში აღარ დაგინახოთ არც ერთი! ჰა, დაიშალეთ, თქვენც რას დადექით აქ, ნახეს სეირი და მოგროვდნენ, ჰა, დაიშალა ხალხი! დავაი, გაიარა დროზე. ერთ საათში მოვალთ და არ დაგვხვდეთ, თორე მევე თქვენს თავს დააბრალებთ!.. პოლიციელები ერთი მეორის მიყრუებით გავიდნენ. გამყიდველმა ქალებმა დაუფარავი ზიზღით გააყოლეს თვალი... — მეუ ღო ვადორდინდეო. — თქვენი წასვლა ვნახე მოუსავლეთში და უკან აღარ მოსვლა მეტი. — ჯოლორებს ტყურად ვა უძახუნა თე იშაჭყყადალებს მართალო ჯოლორეფ რენა. — ჯოლორებ ნკუმა მე გოკო ოსური. ჯოლორშინაირ ერთგულ ნამ რე. ჯოლორებ ვარ ღეჯებ რენა და ხოლო ვარენა. — ბებოს მთელი ამ განამანის დროს

თვალეები დახუჭული ჰქონდა. ასე უფრო უადვილდებოდა. ზამთრის მოქუფრული, ცივი დღე იყო. მალე დაბნელდებოდა. ბებოს მანამდე უნდა მიეღწია თავის ოთახამდე, თორემ ღამე თუ მოუსწრებდა, დაიღუპებოდა. ღამე კი არა და დაბინდებოდა თუ არა, ველარაფერს ხედავდა. ცოტა ხანში უნდა ამდგარიყო და სახლისკენ დაძრულიყო. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს დრო, მით უფრო უდუნდებოდა მუხლები. სიბნელის დადგომასთან ერთად საფრთხეც მატულობდა. სულ უფრო და უფრო მატულობდნენ მთერალები და მგლის ლეკვებივით დაუნდობელი, ცივი, სახიფათოდ ცარიელთვალეებიანი ქუჩის ბავშვები. ციგნები. პოლიციელების წასვლისთანავე ამოიარეს ციგნის ბავშვებმა, ყველაზე უფროსს, ასე თხუთმეტი წლის გოგოს, ჭყყიან ჭრელ შალში გამოხვეული სამიოდე თვის ჩვილი ჰყავდა ზურგზე მოკიდებული. PSP აფთიაქთან ციგნის გოგობმა, შეიღირვა წლის ბიჭი თმით ითრეის, გუბები ჩადეს და ტალახიანი რეზინის ჩექმებით დაუწყეს ცემა.

ციგნის ბიჭი ტიროდა, ირტყმევიწინებოდა, თავიანთ ენაზე რაღაცას ყვიროდა და წვეტიან კბილებს აჩენდა. როგორც იქნა, ხელიდან დაუსხლტა, ხეს ამოეფარა და ასფალტის ნაგლეჯები და ქვები დაუშინა თავისიანებს. ერთი ქვა იმ თხუთმეტი წლის გოგოსაც მოხვდა ზურგში, რომელსაც თვეების ბავშვი ეკიდა. გოგო გამოეკიდა ბიჭს ისე, რომ შალში მოხტუნავე ბავშვისთვის ხელიც არ შეუშველვებია. ხეს ამოფარებული ბიჭი კივილით გაიქცა და ხალხს შეერია. დანარჩენები, გოგოებიც ყიყინით გაეკიდნენ. ბებომ ციგნების დანახვაზე სასწრაფოდ ამოაცარიელა თუნუქის ყუთი და ძველი ბამბაზის ხალათის შიდა ჯიბეში გადამალა. მაინც დაძაბული იჯდა. ციგნის ბავშვები რომ თვალს მიეფარნენ, მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შევიდით... და ჩასთვლიმა... ბებო თვლემდა. ძილბურანშივე გრძნობდა, რომ უნდა ამდგარიყო, ამდგარიყო და სახლისკენ წასულიყო. მალე უნდა გასცლოდა აქაურობას. ძილბურანშივე ესიზმრებოდა თორმეტცამეტი წლის გოგო, რომელსაც თეთრ კოპლებიანი წითელი კაბა ეცვა, ფეხშიშველა მოატყაპუნებდა ივლისის თაკარა მზით გადახურებულ ასფალტზე, ნაყინსა ჭამდა, თითებზე ეღვენებოდა თეთრი, მოტრახტრახე მოტოციკლეტით ჩამოტარებული „სტაკანჩიკი მაროფინი.“ გრძელი ლამაზი, ჯიბიანი კისერი მოელურებინა და კისკისებდა და კისკისებდა. აჩენდა თეთრ კრიალა კბილებს. მოტყაპუნებდა ფეხშიშველი, გავარვარებულ სიცხისგან ჩაშავებულ ასფალტზე, ნაყინსა ჭამდა და თხელი თეთრკოპლებიანი წითელი კაბა ეცვა, რომელიც ბებომ შეუკერა. და რომელსაც ველარასოდეს ნახავდა. ველარც სიკვდილის შემდეგ...



„ლიტერატურული გაზიარების“ მე-80 ნომერში მეტად საინტერესო ნაწარმოები გამოქვეყნდა: ახალგაზრდა, მაგრამ უკვე „საბათი“ დაჯილდოებული პოეტის პაატა შამუგიას „რიტას სათამაშო ცხენი“ (აქვე აღვნიშნავ, რომ „საბა“ — უასაკოთა — ჯილდოდ იქცა, რის საგარაუდო მიზეზსაც ბოლოს დავასახელებ). ეს გახლავთ პოსტ-მოდერნისტული ყაიდის ნაწარმოები: გამოყენებულია შესაბამისი საშუალებების მთელი არსენალი — დანყებული ტონით და სიმულაკრით დამთავრებული. მე არ დავინყებ ამ „იარაღების ჩხრეკას“: უბრალოდ, პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებს „პოსტმოდერნისტულადვე“ ვაკრიტიკებ.

ნაწარმოების სათაურშივე ტყუილად არ გვხვდება „სათამაშო“ — პოეტი ერთგვარ თამაშში მონაწილეობას გვთავაზობს. ნაწარმოებს ახლავს წინათქმა და „ბოლოთქმა“ — პოეტური ტექსტის ბოლო მონაკვეთი. წინათქმით ვგებულობთ, რომ ეს არის დეტექტიური პოემა, უფრო ზუსტად კი — ესე პოემაზე, რომელიც ავტორმა ვერაფრით დაწერა და დაუნერვლი ნაწარმოების მხრივ შურისძიების შიშის გამო მასზე დაწერა ეს ტექსტი, რომლის ჟანრის გარკვევა მკითხველისთვის მიუხდევია. თავად ნაწარმოების განმარტებით ქვესათაურში კი ვკითხულობთ: „დეტექტიური პოემა სამი გვამით, ორი ავტორით და პირქუში გამოძიებით (ფრაგმენტები)“. (პირქუშობის რა მოგახსენოთ და, გამოძიების როლს ახლა მე ვასრულებ). დაუუკვირდეთ, რა გვაუწყებს: (1) ეს არის დეტექტიური პოემა; (2) ეს არ არის პოემა, არამედ ესეა პოემის შესახებ; (3) რომ ეს არც პოემაა და არც ესეა, რადგან ისინი ვერაფრით დაწერა, არამედ ტექსტია, რომლის ჟანრის გარკვევა მკითხველის საქმეა; და ბოლოს, (4) ეს მაინც პოემაა, მისი ფრაგმენტები.

ერთი შეხედვით, „ორ ავტორს“ მკითხველის დაბნევა თავშივე განუზრახავს და, ალბათ, ესეც ზემოთ ნახსენები „პოეტური ამოცანის“ გადაჭრას, მკითხველის თამაშში ჩართვასა თუ ჩათრევას ემსახურება; და მაინც რა არის ეს აბდაუბდა? გასაღები ბოლოთქმაშია, სადაც ვკითხულობთ: „ამ პოემის ავტორი (...) იდიოტია (ვიცნობ და სიტყვაზე მენდეთ) (...)“. კი, ბატონო, ვენდოთ, ოღონდ ისევე დაუუკვირდეთ: ერთი ავტორი, რომელმაც პოემა დაწერა (ან ამის გაკეთება სცადა), იდიოტია; ამასთან, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ის, ვინც ამას ამბობს, მეორე ავტორია და რახან ამას ამბობს, იდიოტი არ არის — ესაა ის, ვინც პოემა ვერ დაწერა, მაგრამ რაღაც დაწერა, რაც საბოლოო ჯამში მაინც პოემაა, თუ პოემის ფრაგმენტებია; ანუ ისაა, რაც პირველმა — იდიოტმა — ავტორმა დაწერა, თუ სცადა, დაეწერა; ასე და ამგვარად, გამოდის, რომ მეორე ავტორი იდიოტი არ არის, მაგრამ იდიოტიცაა: ამას კი უკვე არქეტაიპების სამყაროში გადავყავართ — ყველა ორი საბოლოოდ გადაიტყვევა ერთად!

მთავარი მაინც სიტყვა-მინიშნება „იდიოტია“; და რაც ყველაზე თვალშისაცემია ამ ნაწარმოებში, ეს არის სწორედ „იდიოტობების“ სიუხვე. ასეთი ტროპი, თუ ტროპის ასეთი სახეობა, პოეზიაში ჯერ-ჯერობით საფუძვლიანად აღწერილი არ არის, მაგრამ ამ წერილში ჩვენ იძულებული ვართ, ვისაუბროთ მასზე. დიახ, ეს ნაწარმოები „იდიოტობებით“ (თქვენი ნებართვით, ამ სიტყვასა თუ სახელწოდებას ქვემოთ უბრწყალვად გამოვიყენებ) პირთამდე უსვასე — დასაწყისშივე ვკითხულობთ: „მე ურწმუნო ვარ, / თუმცა სხვა დადებითი თვისებებიც მაქვს, / მაგალითად, ვფლობ სამენას / და მუსულურ ცეკვას ვასრულებ ორსული ქალების პატივსაცემად, — / ამბობს რიტა და პირჯვარს ინერს.“ აქ რთული კონსტრუქციის იდიოტობას გვთავაზობს ერთ-ერთი ავტორი — იდიოტობებით აგებულ ზეიდოტობას; ცალკეული იდიოტობები:

„მე ურწმუნო ვარ, მაგრამ სხვა დადებითი თვისებებიც მაქვს“ (ურწმუნობა თვისება არ არის და გინდაც — იყოს, ის თავისთავად არც დადებითია და არც უარყოფითი); „მაგალითად, ვფლობ სამენას“ (არც ენის ფლობაა თვისება, თან რწმენა-ურწმუნობის „სიბრტყისთან“ არავითარი შეხება არა აქვს); „მუსულური ცეკვის ორსული ქალების პატივსაცემად ვსრულებაც“ — ცალკე აღებული იდიოტობაა და ბოლო იდიოტობაა ის, რომ „მე ურწმუნო ვარ (...) — ამბობს რიტა და პირჯვარს ინერს“ (არავინ ინერს პირჯვარს, როცა ამბობს, რომ ურწმუნოა; ანდა თუ — ინერს, ესე იგი, ღვთის შიში ანუხებს); ანუ ცალკეული იდიოტობები რიტას რწმენა-ურწმუნობის ზეიდოტობითაა „შეკრული“. მივყვით და კიდევ ამოვიწეროთ ზოგიერთი იდიოტობა: „პირველად იყო ჯამი, მერე შესაკრებია“ (ქათამი თუ კვერცხი?), „რახან ასეა, მაშინ ვიღებთ შესაკრებთა დაწურულ მნიშვნელობას,

ტულაღეტი“, „ვისაც ვრცელი ტულაღეტი აქვს, მას გონება ხშირად ეფანტება და ზოგჯერ ახლობლების სახელებსაც ვერ იხსენებს“, „ვინც ტულაღეტის მქონე ადამიანები კარგ ლექსებს წერენ“, „გიორგი კეკელიძეს ტულაღეტში საკუთარი წარბშეკრული ფოტო უკიდია (რაც გამორიცხავს შემსვლელის ონანიზმის მცირედ სურვილსაც)“ და მისთანანი. ახლა სტრუქტურასა და „შინაარსებს“ გადავხედოთ. პირველი, მოკლე ნაკვეთი პროლოგივითაა, ერთგვარი „მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი“-ა. ეს, ეგერე ნოდებუღი, მაღალი პოეზიის ნიმუშია (მას შემდეგ ბოლოს დავუბრუნდები), რაც არავითარ მინიშნებას არ შეიცავს მომდევნო ტექსტის შესახებ. მეორე, ყველაზე ვრცელი ნაკვეთი, როგორც ერთ-ერთი ავტორი გვიხსნის, „(...) ეს არის ლექსი რიტას შესახებ, რომელიც არის ჩემი მეზობელი. ავტორი (...) რიტას შეყვარებულია, თუმცა ამას არსებითი მნიშ-

ბული“ გვამი, რომელიც ყარს ტყეში, სადაც შედის რიტა. მეხუთე მონაკვეთში კი — ქართული პოსტმოდერნიზმისთვის ჩვეული, მოეპატაჟო „იმის დედაც მოვყვან იქა“-ს ფონზე (ობიექტურობა მოითხოვს, რომ აქ რიტის სფეროში აღმოჩენაზეც მივუთითოთ: „ბოტანიკა-მოვტყან იქა“; ისე, ერთი რამე გამახსენდა: დედა ვნახე ქალიშვილით / უამი იყო დილისა — / შვილს მოვტყვან დედის ტრაკი, / დედას — ქალიშვილისაო; ჩემი დაწერილი არ გეგონოთ — მიმა ქვლივიძისაა; ცოტა მოხუცი გონი კაცი იყო და მაგაზე წყენა არ მოსულა; მეორე მხრივ — შვილიშვილი პაპასაო...) — თითქოს, ჰა და ჰა, რაღაც უნდა გაიკვცეს, რაღაცას უნდა „ჩაავლოს“ მკითხველმა: „რიტა ამხედრდა თავის სათამაშო ცხენზე“, რომელიც „შემოიპარა ჰანს მაგუს ენცენსბერგერის“... და ისევე მოლოდინის გაცრუება — „გამოუქვეყნებელი პოემიდან“: სიმულაკრი...  
დავწერე ეს და მაინც დავეჭვდი: ენ-



ნუგზარ ზაზანაშვილი  
პოსტმოდერნისტული კრიტიკა

რაც ობიექტური ქმშარიტებაა“ — არა-ზუსტი ციტატა (თავისთავად იდიოტობაა „შესაკრებთა დაწურული მნიშვნელობა“, იდიოტობაა ისიც, რომ ის „ობიექტური ქმშარიტებაა“); „რიტას მოეხსენება, რომ ვინც ეძებს ობიექტურ ქმშარიტობას, ხელში შერჩება სუბიექტური სისულელე“ (არა ყოველთვის — ზოგჯერ „სიჭკვიანეც“ შეიძლება, შერჩეს, რასაც „მეტყველებს“ ფილოსოფიის ისტორია); „ვინც მწვერვლების მოხელთებას ცდილობს, უმაღლეს უფსკრულს მოინადირებს“ (ნუთუ ყველა ალპინისტის ბოლო უფსკრულში გადაჩეხება? ანდა უფსკრული როდიდან გახდა „სანადირო ობიექტი“?); „მეტაფორები არ ყარან, ისევე, როგორც ხელნაწერები არ ინვიან, ხოლო წმინდანებს ჩრდილი არა აქვთ“ (მეტაფორების „სუსუნისა“ და წმინდანების უწმინდობის დაკავშირება მხოლოდ იდიოტობითაა შესაძლებელი; ისე კი, ზოგიერთი მეტაფორა ყარს კიდევ — გადავავლოთ თვალი სოცრეალიზმის პერიოდს) და ასე შემდეგ. ანდა, ავიღოთ „ბოლოთქმის“ წინა ვრცელი ექსკურსი ტულაღეტის სამყაროს შესახებ (ეს მონაკვეთი, ალბათ, ალუბიურიცაა დათო ქარდავას შესანიშნავ „ტულაღეტში საკითხავთან“), რაც, აგრეთვე, რთული კონსტრუქციის, ერთიან იდიოტობად შეიძლება წარმოვიდგინოთ, და რაც, აი, ასეთი ცალკეული იდიოტობებისაგან შედგება: „ტულაღეტი ყველაზე მშობლიური ადგილია“, „ტულაღეტი უნდა იყოს

ენელობა არ ენიჭება, რადგან რიტაც და ჩვენც ვეძებთ (...) შესაკრებთა ყულფს, რომელიც ტრაგედიის ვინცო კისერზე უნდა დაიფსკვნას.“ აქვე გეტყვით, რომ ამ ტექსტში არც ყულფია და არც ტრაგედია, და, ბუნებრივია, არარსებული ყულფი არარსებული ტრაგედიის კისერზე ვერ დაიფსკვნება. კონსტრუქციულად კი ეს მონაკვეთი არის იდიოტობების ასოციაციური ძენკვი, უფრო სწორად — „აჯაფსანდალი“: საუბარია თითქოსდა რწმენა-ურწმუნობის და მისი „განშტოებების“ — ჯამისა და შესაკრებების, ობიექტური ქმშარიტების, ზოგადად ბინარული ოპოზიციების, მიზეზ-შედეგობრიობის, დროის და სხვათა შესახებ, მაგრამ კარი არ არსებობს, ამიტომ გასაღების ძებნაც უაზროა.

მესამე მონაკვეთში „მღერის რიტა სიცოცხლისა და სიყვარულის სიმღერას“. აქ, არ ვიცი, შემთხვევით, არ ვიცი, შეგნებულად (ინტერტექსტულობის „ამბავში“) „ათასი დადევნებული თვალის“ მეტაფორაა გამოყენებული. სხვათა შორის, გაზეთის ამავ ნომერში, პაატა შამუგიას პუბლიკაციის უშუალოდ მომდევნო გვერდზე, ემზარ კვიტიანიშვილი მისი მშვენიერი წერილის პირველსავე სტრიქონებიდან ზუსტად ამ მეტაფორაზე (ქალს დადევნებულ მრავალრიცხოვან თვალზე) საუბრობს — შოთა ჩანტლაძის ერთ-ერთი ლექსის მაგალითზე; თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ პაატა შამუგიამ არ იცოდა ამ ლექსის არსებობის შესახებ. პოეზიაში განმეორებები უჩვეულო რამ არ არის: პოეტური წარმოსახვა ზოგჯერ „სტერეოტიპულადაც“ მუშაობს“ (აკი, ემზარ კვიტიანიშვილის წერილშივე მოყვანილი ერთ-ერთი ასეთი განმეორება). ასეა თუ ისე, ეს მონაკვეთი „სასიყვარულო ლირიკის“ ნიმუშია.

ცენსბერგერის შემოქმედებას კარგად არ ვიცნობ, გერმანულს ვერ ვფლობ სათანადოდ (ერთი ლექსი მახსოვს მხოლოდ — „ასტრონომის საკვირაო ქადაგება“ — რუსულად ნათარგმნი). ჰოდა, „დავგუგლე ენცენსბერგერი“ ქართულად და პირველივე, რაც „გამოვიძახე“ მისი წერილი „მეცნიერების პოეზია“ აღმოჩნდა (თარგმანი — თამარ კოტრიკაძისა; გვიან გამახსენდა, ეს წერილი ნაკითხული მაქვს ჟურნალში „ლიტერატურა — ცხელი შოკოლადი“, შესანიშნავ გამოცემაში, რომელთანაც მეც ვთანამშრომლობდი, და რომელიც, სამწუხაროდ, „დაიხურა“); და, აი, ამ წერილის პირველი ფრაზა, რაც იმავდროულად ციტატაა: „Chacun deviant idiot à sa façon — ყველა თავისებურად წარმოაჩენს თავს იდიოტად“. აი, კიდევ ერთი ნიშნული ფრაზა ამ წერილიდან „idiot lettré (იდიოტი ლიტერატორი) ისეთი კატეგორიაა, ჰუმანიტარია, ხელოვანთა და მწერალთა წრეებში რომ იკიდებს ფეხს და, თავისი შეზღუდულობის ხარჯზე, თავს საკუთარ ორეულზე უფრო ლაღადაც კი გრძობს.“  
ვაშა, ჩვენს დამჭრიახობას! „რიტას სათამაშო ცხენს“ ჩვენ თავშივე სათანადო გასაღები შევურჩიეთ! და... ვაი! იმ, მეორე ავტორმა მაინც ჩავკითხია ამ „იდიოტურ თამაშში“, ანუ — „იდიოტობების პირქუში გამოძიებელი“ — მეც იდიოტი გამოვდივარ!

დაე! — ყველა თამაში მიყვარს, იდიოტურიც კი. ასეც რომ არ იყოს, მწამს — ნებისმიერი ადამიანის ერთ-ერთი ეგო იდიოტია, თუ იდიოტურია; ყველას რომ გაეცნობიერებინა და ელიარებინა ეს, შესაძლოა, ცხოვრება მეტად სახალისო გამხდარიყო; და ისიც შესაძლებელია, რომ პაატა შამუგიას ეს ნაწარმოები ამის შესახებაცაა. ახლა უკვე არ არის გასაკვირი მთელი შემდეგი მონაკვეთი, „მოულოდნელად“,



მეოთხე მონაკვეთში ჩნდება „დაპირე-

დასასრული მე-14 გვერდზე



ზაზა ბიბილაშვილი

ალე
შენ თავს ახტები ყოველდღით, როცა იძინებ.
შენს თავს ახტები ყოველდღით/ყოველმუადღით —
როცა ჰადაჰამინრეტილი სიზმრის სიმნიერეს
ვერაფერს მატებ სინამდვილის ყუის ყუათი.

შენს თავს ახტები, როცა რისკავ, შეეპასუხო —
კაკუნი თუა ან — ფიჭური ვიბროგანგამი;
როცა კერპივით გატიკნილ და მშიერ „ფეისბუქს“
მჭლე ზვარაკს ტენი რომელიმე ვინრო ხახამი.

შენს თავს ახტები, როცა სტრიქონს მიაჯახირებ —
ჩიჩქნი ზედაპირს გატკეცილი ელექტროფურცლის;
მით უფრო — როცა მისწანწალებ სოფლის ნახირებს
და მოძმე პირუტყვს რამდენიმე სიტყვასაც უცვლი;

როცა გადაკვეთ იმ ცისა და მიწის ნაკვეთებს,
სადაც თესავენ ქარს და მერე მკიან ქარიშხალს;
ან როცა ამცნობ მოკართანე-მინიმარკეტელს —
ლარი და ოცი ზედმეტი რომ გიანგარიშა;

როცა სიჩუმეს პულტიანი ხელი აფუჭებს
და თვალი ასდევს-ველარასდევს ახსნილ აღვირებს;
ან როცა ზემო მეზობელი თხილის ნაჭუჭებს
შენი ფანჯრის წინ ახვავებს და არც კი აგინებს;

თუ მიაცილებ, ვისაც წერამ შემოუბალთა
ტანზე სიცოცხლის არტახები ანდა რახტები
(ჰო, თორემ გამო ქორწილთა და იუბილეთა,
კარგა ხანია, საკუთარ თავს აღარ ახტები)...

იქნებ ხანდახან ჰოროსკოპის ცალფერ ბადეში
არასახტომი დღეც გამოჩნდეს, როგორც ორი გზა —
გადააბიჯო საკუთარ თავს ზრდილი ბოდიშით
ან ცდა უიღბლო განიცადოს ლაჯებშორისმა.

მაგრამ სულ მალე კამარების ნაკრები მარჯვე
თავიქითეთის გადასავალს თავიდან შეგრთავს...
ბოლოს გამოვა — ერთი-ორჯერ ან იქნებ სამჯერ
მაინც ყოველდღე, საშუალოდ, ახტები შენს თავს.

ვინ იცის, ვფიქრობ: შეგჩენია ალე-მანია,
სტომაქუძირი — ივსება და ველარ ივსება, —
რაკი მგონია, რომ ნახტომიც არ გინანია,
რომ არ იღლები, და საერთოდ, გეხალისება. —

მაშინ, როდესაც ამის მეტი არ არის ჩარა —
სწორედ იმიტომ, რომ დაღლილმა ვერ შეიკავე
და რომ სიცოცხლის (გზა სადღა, მით უფრო — შარა)
ყველა ბილიკზე გამოტილხარ შენ — შენი თავი;

კიდევ იმიტომ, რომ მომდგარი მრავალი წლის წინ
თავს ანუ დიდი გასაყარის ბილინგვა-აბრას
აქეთ-იქიდან ჩავლენული ხელებით ციმციმ
გადმოგახტუნეს პირველად და ყველაზე მაგრად;

ხოლო მას შემდეგ აღარ დადგა შენი ხვალ თუ ზეგ,
და ისე მაგრად გადახტომა ველარ გარისკე,
თუნდაც ოთახში, რომელიმე მაღალ სართულზე,
დაეუშვათ, ღია ფანჯარასთან, ღია ფანჯრისკენ.

ჯადო

იმ ჯადომ არ მიგატოვა —
მოვიხედავ და ისევ —
დღეა, ღამეა, სხვა დროა —
ზიხარ და გულზე ისევ
დარდებს:
ეს ასე რატოა?
რატო არ არის ისე?

\* \* \*

დედამინა, უძღები,
ეფარება ღამის კარავს, გაშლილს.

დაფლეთილი ფურცლები
საცოდავად ფრიალებენ ქარში.

დადის გალახული და
ილიმება მთვარე, მაგრამ — ცივად.

გადახსნილი გულიდან
იმედების ნამსხვრევები ცვივა.

ინტარპიუ

— ჯადოსნური ნამალი რომ
იმოვოთ და ნაიცხოთ —
ჩვილად იქცეთ და ცხოვრება
სულ თავიდან დაიწყეთ,
კვლავ შემოხსნათ კარი, სოფელს
სათქვენოდ რომ შეაბეს,
მიპასუხეთ: რას შეცვლიდით?

— სამწუხაროდ, ვერაფერს.

პოსტსამდურავი

ხშირად რომ გეჩხუბობოდი,
მიყვარდი, განა მძულდი.
კარგი მეგონე — ვერაზობდი —
რატომ იყავი ცუდი.

ბოლომდე რომ არ გიცნობდი,
ვიცოდი. რა ვიცოდი,
რაც უფრო კარგად, მით უფრო
ცუდად თუ გაგიცნობდი.

მაინც არ მძულხარ, იმაზე
მეტად, ადრე რომ მძულდი.
უბრალოდ, ვიცი: ცუდი ხარ
და ამიტომ ხარ ცუდი.

აი ისტორია

ახალი აქ არის არაფერი —
მოკვდე, თუ პირველი მე ვამბობდე:
მიფრინავს ფრინველი გადამფრენი;
ჩანასახს ამარცხებს მეაბორტე;
საჯდომებს იზიდავს სავარძლები,
დაფნები — დიდ თავებს, თავგასულებს...
მაგრამ, მოდი, აღარ გავაგრძელებ,
თორემ ვერასოდეს დავასრულებ.
მით უფრო, ამბობენ — ცის ტოლია,
ფენიქსზე მრავალჯერ ნახანძრალი...

და მაინც რა არის ისტორია —
რომელიც ნამდვილად რაღაც არის?

.....
ძველზე უძველესი კულისები,
სცენა, ავანსცენა, მიზანსცენა
ყოველდღე ისეთი გულისცემით
და ისე პირწმინდად იძარცვება;
დღე —
ვითომ ახალი დღე რომ არის —
იმ კერპებს, იმ ქალებს, იმ მეომრებს
ეს კერპი, ქალი თუ მეომარი
ისეთი სიზუსტით იმეორებს;
ანმყო ნამყოს ისე ერთმება,
თარიღიანიც და უთარიღიც;
რომ — რაკი ორივე ვერ იქნება —
ორიდან ერთ-ერთი უნდა იყოს:

ა) ეს მირაჟებიც პარადისის
და თავის ქალების ბილიარდიც
ჟამით — ღამის არის, მარადისი,
რიცხვით — უთვალავჯერ მირიადი —
ანუ განელილი მეტისმეტად,
დაუსრულებლობის არმომომენიც —
რ ე პ ე ტ ი ც ი ა ა —
როდისმე და
სადმე წარსადგენი წარმოდგენის —
იმ დიდი სეირის ფუნდამენტი,
ერთხელაც ტაშში რომ დაინთქმება,
ჯერ კი რომ დგამენ და
სულ დგამენ და
ის კიდევ არა და არ იდგმება.

ბ) დღე-ყვავილები ნექტარს ღვრიან,
თუ ნალველს სამსალა შეერია —
ჰე, როდის დადგმული
ს პ ე ტ ა კ ლ ი ა !
თან განა უბრალო — ფეერია! —
ას... ათ-ას... უთვალავ-ას წელიწადს
ყველა სალამოდან სალამოდის
სცენაზე რომ არის და სცენიდან
არა და არა და არ ჩამოდის.

.....
მეტი გასართობი მოცლილებმა
ვერ მოიგონესო, გეგონება.
საიდან — ამხელა მოთმინება,
რატომ არსაიდან — გემოვნება?
რა ცა დაებერტყათ — პევისტოლა,
რა მუზაუბადრუკს მსახურებენ —
ვისაც ა გულისხმობს რეჟისორად,
ვისშიც ბ გულისხმობს მაყურებელს? —
რომ ერთი დილით ან სალამოთი
ამ დასკვნას არავინ გამოიტანს:

ან — ა) არაფერიც არ გამოდის;
ან — ბ) არაფერი გამოვიდა;
მაშ, დროა, ყოველი შევაჯეროთ,
ლოგიკას ვერდიქტი გამოვძალოთ:
ა) რეპეტიცია შევაჩეროთ!
ბ) მდარე სპექტაკლი გამოვცვალოთ!

.....
მგონი, აიგრიხა კუთხეც ტუჩის —
სიმწრით დაიგრიხა ისე ენა.
ენას დაკბენილსაც არა უჭირს —
გვიანი არ იყოს თითზე კბენა:
ესთეტის კაპრიზი მოქანდა რა,
თავ-ქარმა შეიცნო ატამანად
და აჰა — ეჭრება ტოტ-ქანდარა
იმ თავს და დანარჩენ ადამიანთ!

თავო, მოინდომე რად, ითავო
სიკვდილის დავთრების დალაგება? —
ისედაც შეგვირგებს — სათითაოდ,
წყვილებად, რაზმებად, ქალაქებად...
აკი ჰაეროვნად იკოცნება,
ვიდრე ინებებდეს მოზნელებას.
მაშ, რალა გეესთეტიკოსება,
კერძოდ, რა გეთეატრმცოდნეება?!
გაჩუმდი — ევამ კი შეგაჩვენოს! —
შეირგე ჟანგბადი, სამონყალო! —

ემანდ, ა)
მართლა არ შეაჩერონ.
ვაითუ, ბ)
მართლა გამოცვალონ.

.....
მაგრამ — გონების თვალს ჩაერულა,
თუ დაღლის ბაღდადით შემებურა? —
რალად ავიჭერი ფრაერულად,
ანუ — სხვანაირად — ჩემებურად?
რისი — შეცბუნების რეაქცია,
მით უფრო — საშიში გართულება.
ვინ იცის, ზურგებიც შემაქციონ
ძველი შესაქცევით გართულებმა;
ან დიად არჩევა-გარჩევაში
როლების, გრიმების, პასაჟების,
ჩემი ხმა ერთ ყურშიც არ შეუშვან,
მეორე ყურიდან გასაშვებად...

ნეტაი, ყინვაში არ მცხელოდეს!
ან — ხვატში სუსხი არ მაშეშებდეს!
მეც ახლა პირველს არ დამცდენოდეს:

„ამაოება...“

და
ასე შემდეგ.





მაკო ქოლოშვილი

ნათელია, რომ არაფერი მოქმედებს საზოგადოების კულტურულ განვითარებაზე და ამიტომ ქვეყნის ინტელექტუალურ პოტენციალს ისე, როგორც წინაინერტა და, ცხადია, წინის ხელმისაწვდომობა ქვეყანაში. განათლებული საზოგადოების არსებობა, ინტელექტუალთა, შემოქმედთა ახალი თაობები ერთგვარი დასტურია იმისა, რომ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მხოლოდ წინაპრებისგან დანატოვარი საგანძურის მოფრთხილება როდია, არამედ იმ მრავალმხრივი შემოქმედებითი პროცესისა, ათასწლეულების წინ რომ დაიწყო ამ მიზანზე და დღემდე გრძელდება. თავის მხრივ, განათლებული საზოგადოება ქმნის სამოქალაქო საზოგადოების იმ საფუძველს, რომლის გარეშეც თანამედროვე სახელმწიფოს აშენება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, უდავოდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს „ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, ნიკოლოზ რურუას ინიციატივით შეიქმნა და რომლის განხორციელებაშიც მთელი მისი გუნდია ჩაბმული. კულტურის სამინისტროში ჩემი მისვლა ერთ-ერთი ლიტერატურული პროექტის განხილვის დაემთხვა. პროექტზე მუშაობა მინისტრის მოადგილის, მაკო ქოლოშვილის კაბინეტში მიმდინარეობდა. სწორედ ქალბატონ მაკოს ვთხოვეთ, ესაუბრა შემოსხენებულ პროგრამაზე, მის ამოცანებსა და მიზნებს.

— ქალბატონო მაკო, მიუხედავად იმისა, რომ მაგანი, რომელიც მუდამ ეძიებს მიზეზს აუცილებელ და ზედპირულად აღიქვამს მოვლენებს, ალბათ, ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამასაც აღმაცერად უყურებს — ამბობს, ფურცელზე დაწერილი სიტყვებია და სხვა არაფერი. მე კი მინდა, რეალური სურათი ვუჩვენოთ მკითხველს და ვუამბოთ, რა მასშტაბის სამუშაოებს ახორციელებს სამინისტრო ყოველდღიურად პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა მიმართულებით როგორ ჩაერთო ამ საქმეში გამომცემლობები, მწერლები, მთარგმნელები, და არამხოლოდ ლიტერატურის, არამედ კულტურის თითქმის ყველა დარგის სპეციალისტი, მეცნიერი, როდის და რატომ განჩნდა ამ პროგრამის იდეა?

— „წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ინიციატივით შეიქმნა და 2009 წლიდან ხორციელდება. ჩვენი ამოცანაა წიგნის სექტორის განვითარება, ქართველი ავტორებისა და გამომცემლობების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების ახალი გამოცემებით გამდიდრება და ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაცია. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროს აუცილებლად ესაჭიროება დახმარება, რადგან სამუშაოდ, ის ვერ უნევეს კონკურენციას სხვა, გაცილებით მომდევნო კულტურულ სფეროებს, დამოუკიდებლად რომ შეუძლიათ ირჩინონ თავი.

— რა ძირითად პრიორიტეტებს ეფუძნება პროგრამა?

— პროგრამა მართლაც მრავალმხრივია, სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. მათ შორის — თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის, თარგმანის, რეპრინტის, ამა თუ იმ მწერლისა თუ გამომცემლის ცალკეული იდეების, მათი უცხოეთში სხვადასხვა ფორუმში მონაწილეობის ხელშეწყობას.

ყველამ ვიცით, რა მძიმე წლები გამოიარა საქართველომ და გასაკვირი არ არის, რომ ძალიან ბევრ ცნობილ ქართველ ავტორს ახალი წიგნის, კრებულის გამოცემის საშუალება დიდხანს არ ჰქონდა. მხატვრული ლიტერატურის გამოცემა პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტად ამიტომაც განვსაზღვრეთ. თანამედროვე მწერლებზე რადგან ვლამპარაკობთ, ვფიქრობ, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მათი ყოველი ახალი წიგნის გამოცემას, თან სდევს ხოლმე პრეზენტაცია, რომელიც ფორმატით მხოლოდ ახალი წიგნის წარდგენა როდია, არამედ მკითხველის შეხვედრა გახლავთ მწერალთან. ავტორი თავად წარადგენს თხზულებას, კითხულობს ამონარიდებს, საუბრობს შემოქმედებით პროცესზე. მკითხველს არაჩვეულებრივი საშუალება ეძლევა მოუხმინოს საყვარელ მწერალს, დაუსვას კითხვები და გაიგოს მეტი მის შესახებ.

— 2009-2012 წლებში მხატვრულ ლიტერატურაში თქვენი ხელშეწყობით გამოცემული წიგნების ავტორთა შორის — ჩამონათვალი ვრცელია — არამხოლოდ ცნობილ, ყველასათვის საყვარელ კალმოსნებს ვხვდებით, არამედ — ბევრ ახალგაზრდა მწერალსაც. თუმცა, ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ისიც, რომ არ ივინყებთ იმ ავტორებს, დღეს რომ ჩვენ შორის აღარ არიან. მაგალითად, თქვენ მიერ განხორციელებული ერთ-ერთი

პირველი პროექტი რეზო ინანიშვილის მოთხრობების აუდიოჩანაწერია.

— დიახ. სულ ახლახან კი ბაადურ ბალაჯიშვილის პოეტური კრებული დავბეჭდეთ. მისი პრეზენტაცია ჯერ არც გვქონია. ბატონი ბაადური ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, არცერთი თავისი კრებული მაღა-



ლი პოლიგრაფიული სტანდარტით არ გამოუცია. ვფიქრობთ, ეს ახალი გამოცემა მკითხველს ძალზე გაახარებს. სამწუხაროდ, ნუგზარ შატაიძის არაჩვეულებრივი წიგნიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა.

ბევრი კარგი წიგნი დავგიგროვდა გამოცემული...

— პროგრამის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს რეპრინტი წარმოადგენს. თქვენი დახმარებით, დაინტერესებულ მკითხველსა თუ შესაბამის თემებზე მომუშავე მეცნიერებს უკვე მიუწვდებთ ხელი იმ წიგნებზე, აქამდე ბიბლიოგრაფიულ იმ-ვიათობას რომ წარმოადგენდა.

— ძნელია მოიხელთო წიგნები, რომლებიც მხოლოდ წიგნსაცავებში ან კერძო კოლექციებშია შემორჩენილი. ამიტომ წამოვიწყეთ ეს საქმე და არაერთი ასეთი წიგნის გამოცემას შევუწყვეთ ხელი, მაგალითად — აფორიზმების კრებული „დამაკვირდი“, რომლის შემდგენელიც ილია ჭავჭავაძეა, იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, მიხეილ თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ჟურნალ „კავკასიონის“ ოთხი ნომერი, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ 1924 წელს თბილისში გამოიცემოდა. კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი და კარგი წიგნია, რომელსაც თანდათან დავუბრუნებთ მკითხველს.


— სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევს მთარგმნელობითი საქმის აღორძინებასა და განვითარებას. ვფიქრობ, ეს აუცილებელი პირობაა ქართული წიგნის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისთვის.

— ქართული ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა ჩვენი ერთ-ერთი უცვლელი პრიორიტეტია. 2010 წლიდან, პროგრამის ფარგლებში, გამოვაცხადეთ მთარგმნელობითი კონკურსი უცხოური გამომცემლობებისთვის, რომელიც ქართველ ავტორთა ნაწარმოებების თარგმნით და გამოცემით დაინტერესების შემთხვევაში მათ დაფინანსებას ითვალისწინებს. ამ მიმართულებით არაერთი საერთაშორისო პროექტი განხორციელდა. 2011-2012 წლებში ქართველი მწერლების თხზულებ-

ები გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, შვედურ, რუსულ და პოლონურ ენებზე ითარგმნა.

ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია „თანამედროვე ქართული ლიტერატურის ანთოლოგია“, რომელიც წელს ამერიკულ გამომცემლობასთან — „Dalkey Archive Press“ — ერთობლივად განვხორციელებთ. ჩვენ მიერ შერჩეული ოცი თანამედროვე ქართველი ავტორის ნაწარმოებების თარგმნა სწორედ მათ უზრუნველყვეს. პრეზენტაცია თბილისში, ლონდონსა და ვაშინგტონში ერთდროულად გაიმართა. დღეს ეს წიგნი ყველა ინგლისურენოვან ქვეყანაში იყიდება და მივიჩნევთ, რომ მსოფლიოში ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის ეს ძალზე საჭირო ნაბიჯი იყო. უფრო ადრე კი გერმანულენოვან მკითხველს მიეცა საშუალება ჩვენი მწერლები „თანამედროვე ქართული პროზის ანთოლოგიით“ გაეცნო.

— რამდენადაც ვიცი, ბევრი „სტუმარი“ ჰყავს „წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის“ ვებგვერდს [www.book.gov.ge](http://www.book.gov.ge), სადაც ყოველწლიური მთარგმნელობითი კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციაა განთავსებული.



— ჩვენი მიზანია, ქართული ლიტერატურა გასცდეს საქართველოს ფარგლებს, რადგან გვჯერა, მეტი საშუალება რომ იყოს, ქართული წიგნი მსოფლიო ლიტერატურაში გამორჩეულ ადგილს დაიკავებდა. მოგეხსენებათ, იოლი არ არის, ჩვენმა ავტორმა თავისი მხატვრული სიტყვა უცხოელ მკითხველს მიანდინოს, ამას გარკვეული ფინანსები სჭირდება. კონკურსის ფარგლებში კი უკვე არაერთი თანამედროვე მწერლის ნაწარმოები ითარგმნა და გამოიცა უცხოეთში.

— მსოფლიოსთვის ქართული მწერლობის გაცნობის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია ყოველწლიური ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი, რომელსაც კულტურის სამინისტრო მართავს, ასევე — ფრანკფურტისა და ლაიფციგის საერთაშორისო წიგნის ფესტივალებში ქართველ ავტორთა და გამომცემელთა მონაწილეობა, რომელსაც თქვენ უზრუნველყოფთ.

— ლიტერატურულ ფორუმ-დიალოგს კულტურის სამინისტრო ყოველწლიურად მასპინძლობს. ის წინ უსწრებს ხოლმე თბილისის წიგნის ფესტივალს და ხუთი დღე გრძელდება. ფორუმში მონაწილე-

ობენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი გამომცემლები დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, შვედეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან. უცხოელი სტუმრები ქართველ მწერლებსაც ხვდებიან. იმართება პრეზენტაციები, დისკუსიები. სასიხარულოა, რომ პროექტს კონკრეტული შედეგები უკვე მოჰყვა, გაიყიდა რამდენიმე საავტორო უფლება, უცხოელი გამომცემლები ჩვენი არაერთი ავტორით დაინტერესდნენ, მიიწვიეს კიდევ ისინი თავიანთ ქვეყნებში.

ყოველწლიურად ვმონაწილეობთ ფრანკფურტისა და ლაიფციგის საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე, ვაფინანსებთ საქართველოს ეროვნულ სტენდებს, მიგვყავს თან გამომცემლები, მწერლები, ვმართავთ სხვადასხვა სახის პრეზენტაციებს, ღონისძიებებს, რაც უცხოელ გამომცემელს, ექსპერტს, მთარგმნელსა თუ ლიტერატურულ აგენტს ქართული ლიტერატურის გარშემო აერთიანებს.

— საუბარია იმაზეც, რომ 2015 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მასპინძელი ქვეყანა საქართველო იქნება.


— ამაზე მუშაობას ვაგრძელებთ, ვთანამშრომლობთ ფრანკფურტის წიგნის ფესტივალის დირექტორთან, ბატონ იურგენ ბოოსთან.

— ვიცი, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მჭიდრო კავშირები აქვს იუნესკოსთან, თქვენ ერთობლივად მუშაობთ სხვადასხვა მიმართულებით. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ამ რანგის ორგანიზაციის ჩართულობა აქ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში და ჩვენი მწერლობის ადაპტირება საერთაშორისო კულტურული სივრცეში, ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. იქნებ კონკრეტულად გვითხროთ, რა ლიტერატურულ პროექტებს ანხორციელებთ იუნესკოსთან ერთად?

— ვცდილობთ, იუნესკომ ჩვენთან ერთად აღნიშნოს საიუბილეო თარიღები იმ დიდი ქართველი მწერლისა, რომელთა შემოქმედებაც გასცდა ეროვნულ საზღვრებს და მსოფლიო კულტურის ძეგლებად იქცა. მოგეხსენებათ, შარშან ვაჟა ფშაველას 150 წლის იუბილე იუნესკოსთან ერთად აღვნიშნეთ. გამოიცა ვაჟას სამტომეული, რომელიც ძალზე გვეამაყება და რომელსაც ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად მივიჩნევთ. მის მომზადებაში შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა მიიღო მონაწილეობა. იუნესკოს თანადაფინანსებით გამოვეცით ასევე ვაჟა ფშაველას ფოტოალბომიც.

წელს „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო თარიღს აღვნიშნავთ და მას ძალიან მნიშვნელოვანი პროექტით ვეხმებებით. იუნესკოსთან თანამშრომლობით პოემა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე სერგო ქობულაძის ილუსტრაციებით გამოიცემა.

— თანამედროვე ქართველი ავტორების საიუბილეო თარიღებსაც ივინყებთ და ახალი წიგნებით ეხმებიან. აღნიშვნის ღირსია, რომ კულტურის სამინისტრო არამხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას უწევს მხარდაჭერას, არამედ გამოსცემს წიგნებს კულტურის სხვადასხვა სფეროში.



დასასრული მე-14 გვერდზე



### ზურაბ სამადაშვილი

უკვე მეექვსე წელია, ლიტერატურული კონკურსი „გალა“ თბილისობის დღესასწაულის განუყოფელ და ინტელექტუალურ ნაწილად იქცა. მისი დაარსების იდეა მწერალ ზაალ სამადაშვილს ეკუთვნის, განხორციელება კი საკუთარ თავზე თბილისის საკრებულომ აიღო. ყოველი წლის ოქტომბერში ლიტერატორები, მწერლები და წიგნის მოყვარულები იკრიბებიან, რათა შემოდგომიდან შემოდგომამდე გამოსული წიგნები შეაფასონ. ამ საქმეში მთავარი როლი ჟიურის ეკუთვნის, რომლის შემადგენლობა ბოლო სამი წელია უცვლელია. სწორედ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, საკონკურსოდ შემოსული ტექსტებიდან საუკეთესო შეარჩიონ. „გალა 2012“ კარს მოგვადგა. იმის შესახებ, თუ როგორია წელს წარმოდგენილი ლიტერატურული მოსავალი, როგორ მუშაობს ჟიური და რა განსაზღვრავს მონაწილეთა წარმატებას, ჟიურის ერთ-ერთი წევრი, მწერალი ზურაბ სამადაშვილი გვსაუბრება.

— „აღმოჩენა, შეფასება და დაფასება“ — ასე განსაზღვრა მწერალმა და ამ კონკურსის დამაარსებელმა ზაალ სამადაშვილმა „გალას“ მთავარი პრინციპები. ეთანხმებით მის მოსაზრებას?

— რა თქმა უნდა, რადგან ნებისმიერი კონკურსის ძირითადი ამოცანა ეს არის. მხატვრული ნაწარმოების განხილვა სწორედ ამ კრიტერიუმებით უნდა ხდებოდეს. კონკურსების შორის ძირითადი განსხვავება გარკვეული შეზღუდვებით გამოიხატება. „გალას“ შემთხვევაში, კონკურსში მონაწილე წიგნი უნდა იყოს წინა ან მიმდინარე წელს, განაცხადების მიღებამდე გამოცემული და კონკურსზე, მხოლოდ და მხოლოდ, გამომცემლის მიერ წარმოდგენილი. თავად ავტორს არა აქვს საკუთარი ნამუშევრის წარმოდგენის უფლება. რაც შეეხება შემოსულ წიგნებს, მათმა რაოდენობამ 180-ს მიაღწია. შარშან 130 იყო.

— ანუ „გალას“ მიმართ ინტერესმა იმატა?

— რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ასეა. შარშანდელთან შედარებით გაიზარდა კარგი წიგნების რიცხვიც. საერთოდ, კითხვის დროს მიუკერძოებელი ვარ, ზოგჯერ ყდასაც კი არ ვუყურებ, არც ავტორის ვინაობა მაინტერესებს, არც მისი სქესი და ბიოგრაფია. ვიღებ ტექსტს და მივყვები. ის საკონკურსო ნაწარმოებები, რაც დღემდე ნავიკითხვს, საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ წელს „გალაზე“ ბევრი საინტერესო წიგნი წარმოდგენილი.

— რომელიმეს ხომ არ დაასახელებთ?

— ლაშა ბუღაძის პიესას — „ნავიგატორი“, რომელმაც რამდენიმე ტექსტი და ფილმი გამახსენა, სადაც ადამიანები ავტომობილებს ესაუბრებიან, მაგრამ მთლიანობაში მაინც ორიგინალურის შთაბეჭდილება დატოვა. ლაშამ იცის წერა, დამახასიათებელი იუმორიც აქვს, რის გამოც მისი ნაწერების კითხვა სასიამოვნოა. ძალიან მომეწონა გურამ მეგრელიშვილის რომანი „მოდელი 18/12“, საოცრად ვისიამოვნე ამ ტექსტით. მინდა აღვნიშნო ირაკლი ლომოურის მოთხრობების კრებული — „ავტონეკროლოგი“. ირაკლი კარგი, სერიოზული მწერალია და ერთად თავმოყრილმა მისმა მოთხრობებმა კიდევ უფრო დაამყვენეს ერთმანეთი. დამამახსოვრდა სანდრო ნავერიანის „არგენტინული პიტბული“. მშვენივრად წერს, თუმცა ერთი არალიტერატურული შენიშვნა მაქვს: ძაღლის ეს ჯიმი ბუნებაში არ არსებობს, ლაპარაკია არგენტინულ დოგზე, რომელიც გარეგნულად ჰგავს თეთრი ფერის ამერიკულ პიტბულს. „მძიმეონიანი“ რომანებიდან გამოყოფილი ირაკლი სამსონაძის „ლუგას საათს“, ზურაბ ქარუმიძის „მელია-ტულეფიას“ (იგრძნობა, რომ ავტორს აბსოლუტური სმენა აქვს) და აკა მორჩილაძის „ობოლ“-ს, რომელიც წლევიანდელი „საბას“ გამარჯვებულია. ჯენტლმენურად მოიქცა „გალას“ შარშანდელი ლაურეატი მიხო მოსულიშვილი, რომელმაც გვთხოვა, გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი მისი ახალი, საინტერესო რომანი „ჰელენა“ არ შეგვეფასებინა. გაცივითაღიანივით თუ არა მწერლის თხოვნას, ჟიურის გადასაწყვეტია, მაგრამ ავტორის მხრიდან ეს მართლაც კეთილშობილური საქციელია.

რაც შეეხება პოეზიას, ძალიან მომეწონა კატო ჯავახიშვილის ლექსები, მარიამ ხუცურაულის, ერთ გამომცემლობაში თავმოყრილი, პროზაული და ორი პოეტური კრებული, რომელთაც, ჩემთვის, სანათას სამეული დავარქვი — ორიგინალურიც არის და შინაარსობრივადც საინტერესო. ცალკე მინდა აღმოვიგებო ბაადურ ბალარჯიშვილის „კიპარისები“, რომელიც, სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. ბაადური არაჩვეულებრივი პოეტია, თუმცა მის ლექსებს მკითხველი ნაკლებად იცნობს. არაერთი ჭეშმარიტი ტალანტის მსგავსად, ზედმეტად თავმდაბა-

ლი იყო საკუთარი შემოქმედების შეფასებისას. არც აქტიურობით გამოირჩეოდა. ცოტა რთული პოეზია აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ყურადღებით უნდა წაკითხვა, მკითხველთა უმეტესობას კი გონების დაძაბვა ეზარება, მარტივი, გასართობი ტექსტები ურჩევნია. უნდა მიუბრუნდე და კიდევ ნაკითხობაადურის პოეზია, რომ აღიქვა ასეთი დიდი პოეტი. ერთი სიტყვით, პოეზიის მოყვარულნი თავიდან აღმოაჩენენ ბაადურ ბალარჯიშვილს, პოეტს, რომელიც არ შეიძლება დაკარგო ან მივიწყო.

## „არასოდეს მივიღია კონკურსში მონაწილეობა“

— თარგმანებთან დაკავშირებით რა ხდება? ბოლო წლებში მათმა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

— არაჩვეულებრივი თარგმანებია სერიით „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ — ვუდჰაუსი, პოლ ოსტერი... როგორც იქნა, გველირსა ჯოისის „ულისე“ ერთ წიგნად. ეს არის ჩემი უსაყვარლესი რომანი, რომელსაც ნიკო ყიასაშვილი მთელი ცხოვრება თარგმნიდა. ძალიან მნიშვნელოვანი ტექსტია, ურთულესი სათარგმნი. ვინც ცოდნის გარდა, 40-50 წიგნი თითქმის ზეპირად უნდა გქონდეს ნასწავლი, რომ ასეთი რთული ტექსტის თარგმნა შესძლო. უზარმაზარი შრომაა ჩადებული. ამათ გარდა, 10-15 წიგნის დასახელება თამამად შეიძლება. საერთოდ, ვლაპარაკობ, როგორც რიგითი მკითხველი და არა ჟიურის წევრი. მინდა საზგასმით აღვნიშნო, რომ ეს ზემოთ ჩამოთვლილ ტექსტებსაც ეხება. ჯერ შორთ-ლისტებიც არ გამოქვეყნებულა, წიგნები კიდევ წასაკითხია, ამიტომ არ მინდა ამ საუბრის დინამიკაში ჩაქარავი დასკვნა გააკეთოს.

— ერთი ლიტერატურული სივრცე გვაქვს და 2-3 კონკურსი. არ გიშლით ხელს შეფასებისას ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა კონკურსზეა წარდგენილი? ანდა ის, რომ წიგნი, რომელიც თქვენ მოგეწონათ, შეიძლება მეორე ან მესამე კონკურსის გამარჯვებული იყოს?

— ზოგადად კონკურსებს მივესალმები, ლიტერატურის განვითარებას უწყობს ხელს. რაც მეტი იქნება, უკეთესია, მაგრამ ტექსტის შეფასებისას სხვისი აზრის გათვალისწინება ჩემი სტილი არ არის. ვკითხულობ მიუკერძოებლად და თუ წიგნი მომეწონა, მისი შექება არ მიჭირს, არ მეზარება. ამ შემთხვევაში არც იმას აქვს მნიშვნელობა, რამდენი პრიზის მფლობელია ავტორი და არც იმას, ცნობილია თუ ახალბედა.

— მესამე წელია „გალას“ ჟიურის შემადგენლობა უცვლელია. ხომ არ გიქმნით ეს ფაქტი დისკომფორტს იმ თვალსაზრისით, რომ ვინმემ შეიძლება თქვენი გადაწყვეტილების ობიექტურობაში ეჭვი შეიტანოს?

— ამ აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ მაშინ ყოველწლიურად უნდა იცვ-

ლებოდნენ გამომცემლობის დირექტორები, რედაქტორები, მენეჯერები... ჩემთვის, როგორც უკვე ვთქვი, მთავარია მიუკერძოებლობა. ვინც მიცნობს, იცის, რომ ამ მხრივ პრობლემა არა მაქვს. საკუთარ პოზიციას ყოველთვის ღიად გამოვხატავ. გაიზიარებენ თუ არა დანარჩენები, მათზეა დამოკიდებული.

ბევრი მწერალი უარს ამბობს ჟიურის წევრობაზე. მიზეზი მარტივია: კლასიკური მიდგომის თანახმად, გამარჯვება ავტორის დამსახურებაა, დამარცხება — ჟიურის წევრების. ერთი სიტყვით, უმადური საქმეა. ისე კი, მეგობრული ღიმილით თუ ვიტყვი, ჟიურის შემადგენლობის ცვლას ბევრად სჯობია კონკურსში გამარჯვებულთა გვარ-სახელები იცვლებოდეს ყოველწლიურად. იყო ერთი კაცი, ხუთგზის საბჭოთა კავშირის გმირი, გვარად ბრეჟნევი და უკვე საქმარისია. კარგ მწერლებს ნუ გავაბრეჟნეებთ, ნუ გავუფუჭებთ მწერლურ ბიოგრაფიას.

— ჟიურის მუშაობის პრინციპი როგორია, შიდა სამზარეულოზე გვიამბებთ.

— ერთი დიდი ჩანთა მაქვს, გავტენი ხოლმე წიგნებით, მიმაქვს სახლში, ვკითხულობ და ჩანაწერებს ვაკეთებ. კვირაში



ერთხელ ჟიურის წევრები ერთმანეთს ვხვდებით და მოსაზრებებს ვუზიარებთ. რაც უფრო ცოტა დრო დარჩება კონკურსამდე, ალბათ, უფრო ხშირად შევიკრიბებით. ბოლო ეტაპზე აზრებს შევაჯერებთ და საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ. ყველა თავის სფეროს „კურირებს“. წიგნის გარეკანის შეფასებისას მხატვარი უფრო კომპეტენტურია, კინოსცენარის შემთხვევაში კინოსცენტრის წარმომადგენლის აზრი უფრო ფასობს. დანარჩენები პროზასა და პოეზიაზე ვკამათობთ, თუმცა მაინცდამაინც დიდი შესაძლებლობა არ გვაქვს. ჩვენი გემოვნება უმეტესწილად ემთხვევა. ერთადერთი, რაც ცოტა მირთულესს საქმეს, ამ ორი ჟანრის ერთად განხილვაა. პირადად მე პროზასა და პოეზიას დავაცალკევებდი, რადგან პატარა უხერხულთა იქმნება: 100-გვერდიანი პოეზიის კრებულს, როგორც მაგარიც უნდა იყოს, შესაძლოა 300-გვერდიანმა, აგრეთვე მაგარმა რომანმა წონით (პირობითად ვამბობ) აჯობოს. ანდა, პირიქით: ფიცჯერალდის „დიდი გეტსები“ 600-გვერდიანმა ლექსების კრებულმა დაჩაგროს, რაც უპატიებელი შეცდომა იქნება, რადგან ეს მომცრო ტექსტი, XX საუკუნეში ინგლისურ ენაზე დაწერილ რომანებს შორის, საუკეთესოდ მიიჩნევა.

— აქ უკვე ჟიურის კომპეტენცია უნდა იყოს მაღალი — ზუსტად განსაზღვროს, რა უფრო ღირებულია — „დიდი გეტსები“ თუ 600-გვერდიანი ლექსების კრებული.

— ჟიურის კომპეტენცია ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კონკურსი ლატარია-ასავით არის — ბევრ რამესთან ერთად, უნდა გაგიმართლოს კიდევც. ხშირად პირველ და მეორე ადგილზე გასულ წიგნებს შორის სხვაობა იმდენად უმნიშვნელოა, თავისუფლად შეიძლება პირიქითაც მომხდარიყო.

— რა არის გადამწყვეტი ამ შემთხვევაში?

— ალბათ ბედისწერა, იღბალი, შემთხვევითობა, რომელიც ყოველთვის არ სწყალობს ყველაზე ღირსეულებს.

— ჟანრებს რაც შეეხება, სადაა ყველაზე უკეთესი ვითარება და სად გვიჭირს ყველაზე მეტად?

— სამწუხაროდ, ყველაზე რთული ვითარება საბავშვო ლიტერატურაშია. არც

დონეა მაღალი და რაოდენობაც მცირეა. ჩემი ბავშვობა რომ მახსენდება, ასეთი ტექსტები არ დამაინტერესებდა. ამ ჟანრში უცხოური ლიტერატურა ბევრად ძლიერია. პოეზიასა და მხატვრულ ლიტერატურას რაც შეეხება, საქმე ურიგოდ ნამდვილად არ გვაქვს. მართალია, ხშირად ერთ პერიოდში დაწერილი ტექსტები ერთმანეთს რალაცით ემგვანება, გრამატიკული შეცდომებითაც კი, მაგრამ მთლიანობაში ავტორები ეძებენ სიახლეებს, წერენ კარგ ნაწარმოებებს, გამოსცემენ მშვენიერ წიგნებს. ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურული სამყაროს ანკლავი ან მეთასხარისხოვანი ფილიალი ნამდვილად არ არის.

— გასაქანი რომ გვექნოდეს, ანუ, ეს ლიტერატურა ინგლისურ ენაზე ინერებოდეს ან ითარგმნებოდეს, რა შეფასება ექნებოდა მას?

— ამ შემთხვევაში ბევრი რამით შეიძლება მისაბამიც ვყოფილიყავით. ევროპელებისა და ამერიკელების ყოფა მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენი ყოველდღიურობისაგან — სულ სხვა რალაცები აინტერესებთ, ბევრ რამეში ზედაპირული არიან. უკვე ისე მობეზრდათ აქაური ამბები, სხვა პლანეტებზე გადაინაცვლეს და გამონაგონი რეალობით ცხოვრობენ. ნახეთ რა ხდება კინემატოგრაფში — ფანტასტიკა და ფენტეზი. ეს ჟანრები ლიტერატურაშიც ძალიან პოპულარულია. სხვათა შორის, ნელ-ნელა ჩვენთანაც იკიდებს ფეხს. თუმცა, რადგან კინოხელოვნება ვახსენე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი შორეული ბავშვობის ერთ-ერთი საყვარელი ფილმი — „ცისკარა“ — ფენტეზის კლასიკური ნიმუშია.

— თქვენს შემოქმედებაზე მინდა გკითხოთ. რა ხდება, სიახლეები თუ გაქვთ?

— სიახლეებზე მეტად დაწერილის სისტემაში მოყვანაზე ვფიქრობ. მაგალითად, მოთხრობების წიგნი ფაქტობრივად არა მაქვს. თავის დროზე, 1990 თუ 91 წელს „მერანმა“ გამოსცა, მაგრამ გასსოვთ ალბათ, რა პერიოდი იყო — ქვეყანა იქცეოდა, ვის ეცალა წიგნისთვის?! ტირაჟიც ძალიან მცირე ჰქონდა — 400-500 ცალი გამოვიდა და სად გაქრა, არ ვიცი. რომანი „სველი აგური“ გარეგნულად აღარ მომეწონა და საერთოდ არ შევიტანე მაღაზიაში, ასეთივე ბედი ეწია რომანს „ხმაურისანი დღეები“, რომელიც ცოტა ხნის წინ მეორედ გამოსცა კულტურის სამინისტრომ. თუმცა, რომ ამბობდნენ, მეორე გამოცემაო, მეცინებოდა — პირველად 300 ცალი დაიბეჭდა და აქედან 200 მე წამოვიღე. 20-კაციანი სია მქონდა, ვისთვისაც, როგორც ვფიქრობდი, უნდა მეჩუქებინა და ვერ მოვახერხე, დავარგივე ქეიფებსა და უაზროდ ხეტივალში. ფაქტობრივად, არავის ნაუკითხავს. ამიტომ ნამდვილად მაინტერესებს, ამჟამინდელი ტირაჟი გაიყიდება თუ არა. ეს ჩემი პირველი მცდელობაა.

— რამდენადაც მახსოვს, შარშან ახალ რომანს წერდით. სათაურიც კი გქონდათ შერჩეული.

— „როცა ხიფათი გვერდითაა“ — ასე ჰქვია რომანს, რომელიც დასრულებულია, ტექნიკური მხარეა მოსაგვარებელი და მეორე უკვე შეიძლება ფიქრი მის გამოცემაზე. დასაბეჭდავს მაქვს ლექსების კრებული. პიესების გამოცემაც შეიძლება, ერთი სიტყვით, ამ ყველაფერს მიხედვა სჭირდება.

— როცა კონკურსის ჟიურის წევრობაზე თანხმდებით, ფაქტობრივად უარს ამბობთ ამავე კონკურსში თქვენი მომავალი წიგნების მონაწილეობაზე. არ გალევებთ ეს საკითხი?

— არასოდეს მიმიღია კონკურსში მონაწილეობა. ერთადერთხელ მომეწიჭა პრემია „თანამედროვე თემაზე დაწერილი წლის საუკეთესო პიესისათვის“ 1991 წელს და მაშინაც თეატრალურმა საზოგადოებამ ისე დამაჯილდოვა, თავად არაფერი ვიცოდი. შეგებულადაც ეს ნაბიჯი არასოდეს გადამიდგამს. ვიმეორებ, ნებისმიერ კონკურსში იღბლსაც აქვს მნიშვნელობა. ისე არ მანებიერებს ბედი, რომ წარმატების იმედი მქონდეს. სიმართლე გითხრათ, ბუნებით არცა ვარ აზარტული — სხვისი ტექსტების კითხვა და შეფასება მირჩევნია, ამის საშუალებას კი ჯერჯერობით „გალა“ მაძლევს და მეც ვცდილობ, არჩევანი მისი უდიდებულესობა ლიტერატურის სასარგებლოდ გავაკეთო.



მაკო ჭოლოშვილი:

# „ვცდილობთ, დავეხმაროთ ნიგნს“

დასასრული

— ამ მიმართულებითაც აქტიურ საგამომცემლო საქმიანობას ვენევი. მაგალითად, ნელს გამოვიდა „ქართული კინოს ენციკლოპედია“. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რადგან მსგავსი ენციკლოპედია ხელოვნების ამ დარგში ჩვენთან არასოდეს გამოცემულა.

სულ ახლახან დაიბეჭდა ორენოვანი (რუსულ-ინგლისური) ნიგნი-ალბომი რეჟისორ მიხეილ კალატოზიშვილზე.

გამოცემით ნიგნებს მუსიკალურ ხელოვნებაში, სახვით ხელოვნებაში. ინტენ-

სიურად ვბეჭდავთ ქართველი მხატვრების ნამუშევართა კატალოგებს. გარდა ამისა, ოთხი ნიგნი მიუძღვნენ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს.

მინდა აღვნიშნო, რომ, პროექტის ფარგლებში, არც ეროვნული უმცირესობები გვაწვდებიან. მაგალითად, გამოცემული გვაქვს ცნობილი სომეხი ლირიკოსის, ნაჰაპეტ ქუჩაკის კრებული „ას ერთი ჰაირენი“, რომელიც გვიჩვენებს მათარგმნა. ხელი შევუწყვეთ ვაჟას პოემის „გოგოთურ და აფშინას“ ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოცემას. ნიგნს უძღვის ცნობილი

აღმოსავლეთმცოდნის, ზეზვა მედელაშვილის ნინათქმა და პოემის მთარგმნელის, ოქტაი ქაზუმოვის შესავალი წერილი.

— ვფიქრობთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ბიბლიოთეკებისა და ქართული ნიგნის ბაზრის ხელშეწყობა. ვაუჩერიზაციამ, შეიძლება ითქვას, ახალი სიცოცხლე შესძინა ბიბლიოთეკებს, განაახლა და გაამდიდრა მათი ნიგნადი ფონდები.

— თბილისისა და საქართველოს რეგიონების ყველა ბიბლიოთეკას ათასი ლარის ღირებულების ახალი ნიგნებით ვასაჩუქრებთ. ამავდროულად საშუალებას ვაძლევთ, თვითონ აარჩიონ სასურველი ლიტერატურა. ამისთვის, ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს მთელი საქართველოდან თბილისის ნიგნის ფესტივალზე ვეპატიჟებით, სადაც ნიგნები განსაკუთრებულად იაფია. მათ საშუალება აქვთ გაეცნონ იქ წარმოდგენილ ყველა ლიტერატურულ სიახლეს და ხსენებული თანხის ფარგლებში სასურველი გამოცემები შეარჩიონ.

იცით, თუ როგორ ინტენსიურად ვთანამშრომლობთ გამომცემლობებთან. ჩვენი ხელშეწყობით მომზადებული და დაბეჭდილი ნიგნები მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით გამოირჩევა, რაც მათ თვითღირებულებას ზრდის. ამიტომ სულ ახლახან კიდევ ერთი ინიციატივა განვახორციელეთ: ნიგნის მაღაზიებს გამოცემები უფასოდ გადავცემთ, რაც ნიშნავს, რომ მომხმარებელი მათ სიმბოლოურ ფასად შეიძენს.

— რამდენიმე სიტყვა სამომავლო გეგმებზეც გვითხარით.

— ამჟამად ვმუშაობთ ახალ პროექტზე. ეს გახლავთ, სავარაუდოდ, ათი ნიგნისგან შემდგარი სერია, რომელიც ეძღვნება 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას. ნიგნებს სხვადასხვა ავტორი ჰყავს. მკითხველს საშუალება ექნება „მოუსმინოს“ გიორგი კვინიტაძეს, გერონტი ქიქოძეს, კონსტანტინე

კანდელაკსა და სხვებს, გაეცნოს ისტორიულ დოკუმენტებს, არქივის მასალებს. ნიგნებს ნუმერაცია არ ექნება, მათ ერთი თემა პირობითად გაერთიანებს. რამდენიმე ნიგნს სერიიდან ნელს გამოვუშვებთ, პროექტი 2013 წელს დასრულდება.


მუშაობას არაერთ სხვა ახალ პროექტზეც ვაგრძელებთ. ვიმედოვნებთ, ყოველივე ეს სასურველ შედეგს გამოიღებს, გაიზრდება ნიგნის პოპულარობა ქვეყანაში, მეტი ხელმისაწვდომობა იქნება ახალი გამოცემებისადმი, უფრო ინტენსიური გახდება ლიტერატურული პროცესი და მწერლებს მაქსიმალური ხელშეწყობა ექნებათ შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, ქართული ნიგნით კი სულ უფრო მეტი უცხოელი მკითხველი დაინტერესდება.

— პროგრამა რომ წარმატებით ხორციელდება, ამაზე ძალიან ბევრი რამ მეთვალყურეობს.

— დიახ, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში გამოცემული ნიგნებისა და თარგმნილი ნიგნების რაოდენობა და მათი რეალიზაციის მაჩვენებლები, ბიბლიოთეკებში ახალი ლიტერატურის ბრუნვის მაჩვენებლები, თბილისის ნიგნის ფესტივალის მასშტაბის ყოველწლიური ზრდა, ფორუმ-დილოგის შედეგები თუ უცხოეთის ნიგნის ბაზრობებზე ქართული ნიგნისადმი მზარდი ინტერესი გვარწმუნებს და გვაძლევს სტიმულს, რომ დანებდეთ საქმე იმავე შემართებით ვავაგრძელოთ.

და ბოლოს მინდა ვთქვა, გვახარებს ისიც, რომ „ლიტერატურულმა გაზეთმა“, რომელიც პროგრამის ფარგლებში 2009 წლიდან გამოდის და ოპერატიულად ასახავს თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებას, უკვე დაიმკვიდრა ადგილი როგორც პროფესიონალ, ასევე ფართო მკითხველს შორის.

ესაუბრა თამარ ჟურული



დასასრული

ტუალეტებს რომ ეხება: თუ იდიოტობაა იდიოტობა იყოს!


და ბოლო, ყველაზე მოკლე მონაკვეთი, „ბოლოთქმა“ რომ ვუნოდეთ, მთლიანად მომყავს: „ამ პოემის ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ იდიოტია / ვიცნობ და სიტყვაზე მენდეთ, / სხვანაირ ლექსებსაც წერს — გარითმულსაც, გაურითმავსაც / და რაც უნდა გასაკვირი იყოს, თაყვანისმცემლებიც ჰყავს, / მაგრამ ხალხს უყვარს ამბავი / და დაე, ესეც იყოს ამბავი, / ხოლო ლექსები მოიცდიან.“ ანუ, წინანისტყვაობაში რომ არის ნათქვამი, ჟანრის გარკვევა თქვენთვის მომინდვიაო, აქ იმაზე პასუხის მინიშნებაა: „ამბავი“, ანუ ნარატივი, ანუ ნარატიული პოემა, ანუ ნარატიული ესეე პოემის შესახებ, ანუ ნარატიული „ნახევრადირონიული ტექსტი“, ანუ ნარატიული პოემის ფრაგმენტები (ისე, თუ არ ვცდები, ეს ტექსტი პოსტ-მოდერნისტური ნარატიული პოემის შექმნის პირველი ცდა უნდა იყოს ჩვენში). თუმცა, აქ, კლასიკური გაგებით, ნარატიული რამ ცოტაა — „თხრობის მანერას“ თუ არ ჩავთვლით.

„დეტექტიური“ კი — რაღაც უთუოდ არის, თუმცა (აქაც — თუმცა), ასეთი „განმარტება“ პოეტური ტექსტისთვის ზედმეტია: ყველა ღირებული პოეტური ტექსტი „დეტექტიურია“ („პოლისემანტიკური“) და მკითხველის მხრით ერთგვარ — ლევან ბრეგაძეს რომ დავესხსოთ — ლიტერატურულ (გამო)ძიებას საჭიროებს; თუმცა (მესამედ — თუმცა!), ამ ტექსტის ერთ-ერთი ავტორი ნაწილობრივ მართალიცაა — ყველა პოეტურ ტექსტში გვამები არ გვხვდება.

აქ მე დავასრულებ „რიტას“ ტექსტის შესახებ საუბარს: შემეძლო, კიდევ რაღაც რაღაცები (გამო)მეძია თუ (გამო) მეჩხრიკა, მაგალითად, ორი „დაპირებული“ გვამი (გამო)მეძებნა, მაგრამ ეს უკვე სხვა მკითხველისთვის მიმინდვია.

სხვას ვიტყვი: მიუხედავად ამდენი იდიოტობისა, რა პარადოქსულადაც გინდა ჟღერდეს, ამ პოეტური ტექსტის სივრცეშიც (ახლა უკვე მაღალფარდოვნად ვიტყვი) გახვეულია მშვენიერების მსუბუქი სურნელი, უფრო აკადემიურად კი — ტექსტი ელეგანტურია, ესთეტიურია, მეტიც — ესთეტიკური, ის ესთეტიკური ფენომენია; ტექსტი შექმნილია იმ პოეტის მიერ, რომელიც „პროლოგში“, აი, ამას ამბობს თავის თავზე: „მე თანახმა ვარ, ბალახებმა გამოთქვან ჩემი სხეული ქარ-

## ნუგზარ ზაზანაშვილი



## პოსტმოდერნისტული პრიტიკა

ში, / გამოთქვან მწვანედ, ან ყავისფრად, / ნელინადის დროთა შესაბამისად / ამოთქვან ლექსივით, ეპოსივით, / პეპელასავით მსუბუქმა ალიტერაციებმა / იფარვან შედეგებული სინტაქსის თავზე.“

სწორედ ეს სიმსუბუქე თუ პოეტური სივრცის პაეროვნება და „მენიბული ესთეტიზმი“ გაკითხებს ტექსტს ბოლომდე, ხოლო ბოლომდე როცა ჩაიკითხავ, უნებლიეთ დაფიქრდები — რის შესახებაა ეს „ფრაგმენტები“, ანდა რატომ მოუნდა ავტორს (ამ შემთხვევაში — უეჭველად პაატა შამუგიას) დაუსრულებელი, ფრაგმენტული ნაწარმოების გამოქვეყნება: კი ამბობს წინასიტყვაობაში — იმიტომ, რომ ვერ დავწერო და ასე შემდეგ, მაგრამ ყველა მკითხველი ავტორს სიტყვაზე არ ენდობა!

ენცესბერგერის ზემოთ ციტირებული წერილი ასე მთავრდება: „მსგავსად დროის საღიაგნოსტიკოდ და გასაზომად გამიზნული იზოტოპისა, პოეზიაც, შეუმჩნეველი და მაინც თვალშისაცემი, (...) ყოველთვის იქ მოქმედებს, სადაც ის ყველაზე ნაკლებად გვეგულება.“ ეს სულ სხვა

კონტექსტშია ნათქვამი, მაგრამ მაინც: „რიტას სათამაშო ცხენში“ პოეზია ნაკლებად გვეგულება, ის კი მაინც იქ არის.

ამ წერილის მკითხველი ისე ნუ გამიგებს, თითქოს პაატა შამუგიას ამ ნაწარმოების განსაკუთრებულ ღირებულებაზე ვსაუბრობდე: ტექსტი, როგორც აღვნიშნე, უსრულა და უკმარობის გრძნობას აღძრავს; მე, მაგალითად, წარმომიდგენია, თუ რა ფრაგმენტებით შეიძლებოდა, ის შევსებულიყო და შეკრულიყო, ან პირიქით — კიდევ უფრო მეტად დაფრაგმენტებულიყო და ასეთ შემთხვევაში ფრაგმენტირება პოეტური ტექსტის სტრუქტურულ-გამაერთიანებელ ელემენტად მოგვევლინებოდა. სხვაა მთავარი: ტიუტჩევის გონებაამახვილი გამონათქვამია — ლექსები არასოდეს ასაბუთებენ რაიმე სხვას, გარდა მათი ავტორის მეტი ან ნაკლები ნიჭისაო; ჰოდა, ეს ტექსტიც მისი ავტორის „მეტ ნიჭს“ ასაბუთებს. საერთოდაც, ვისთვის შეუმჩნეველად და ვისთვის „შესამჩნევად“, ქართულ პოეზიაში შემოსულია მძლავრი „ახალი ნაკადი“, რომლის ერთ-ერთი „უმრწმენი“ და გამოჩენილი წარმომადგენელიცაა პაატა შამუგია და სრულიადაც არ არის

გასაკვირი (სასიხარულოცაა, როგორც — კერძოდ, პოეტური წარმოსახვის სტიმულირების, ასევე — ზოგადად, პოეზიისადმი ინტერესის გამოცოცხლების თვალსაზრისით), რომ მას „თაყვანისმცემლებიც ჰყავს“. მე აქ ვგულისხმობ თაობას თუ „პოეტურ ნაკადს“, რომელიც, პირობითად, 30-45 წლის ასაკითაა „შემოსაზღვრული“ (პლუს-მინუსი ყოველთვის არსებობს); ნურავინ მინყენს ასეთ „სისტემიზირებას“ — მე ასაკობრივ ჩარჩოს „პერსონალიებით“ ასე მივანიშნებდი: პაატა შამუგია — ზვიად რატიანი. ეს ნაკადი აერთიანებს სხვადასხვა სტილის, მაგრამ ერთიანი, ახალი თუ ახლებური მსოფლალქმის მქონე, ალბათ, ოცამდე მეტად ნიჭიერ პოეტს და ვინც დაკვირვებით ადევნებს თვალს ჩვენი პოეზიის „მსვლელობას“ („განვითარება“ პოეზიას არ უხდება), დამეთანხმება, რომ სწორედ ისინი განსაზღვრავენ დღეს ქართული პოეზიის „გენერალურ მიმართულებას“, თანამედროვედ თუ ვიტყვი — „მეინსტრიმს“.

ჰოდა, თავში რომ ვთქვი, „საბა“ უასაკოთა ჯილდოდ ჩამოყალიბდა-მეთქი, ალბათ, ესეცაა მიზეზი. მეორე მხრით, თავად „საბამაც“ (lib.ge-სთან, იმავე ლიტერატურა-ცხელ შოკოლადთან და სხვა ნოვაციებზე ორიენტირებულ გამოცემებთან ერთად) გარკვეული, უეჭველად პოზიტიური როლი შეასრულა ამ პოეტური თაობის ჩამოყალიბების საქმეში! „საბათი“ დაჯილდოებულებისა თუ დასაჯილდოებულების უმრავლესობას მკითხველთან ხშირი, უშუალო კონტაქტიცა აქვს (თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით და სხვა), რაც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ და ეს, უპირველესად, ალბათ, მათსავე წარმოებული „პოეტური პროდუქციის“ მიმართ მეტი „ოპერატივტიკულობით“ უნდა გამოიხატოს.

ამასთან, ეს თვალშისაცემი პროცესი მიმდინარეობს ჩვენი უფროსი თაობის ბრწყინვალე პოეტების გასაოცარი შემოქმედებითი აქტიურობის ფონზე: მე აქვე შემიძლია, დავასახელო (მაგრამ, გასაგებ მიზეზთა გამო, ამისაგან ახლა თავს შევიკავებ) ისინი, ვისი ნაღვანაც არ ჩამოუვარდება ნებისმიერი საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის ნებისმიერი ლაურეატის შემოქმედებას — არც ნიჭიერებითა და არც მასშტაბით. ერთგან ვწერდი, რომ ამ თვალსაზრისით ოპტიმისტი ვარ — გლობალიზაციას, სივრცის შეკუმშვასა და დროის აჩქარებას თავისი დადებითი მხარეც აქვს: ადრე თუ გვიან დაფასდება დასაფასებელი.

ასე რომ, ცნობები ქართული პოეზიის „ლეთარგიული ძილისა“ თუ გარდაცვალების შესახებ, ჩემი აზრით, ცოტათი გადაჭარბებულია.



# უნანოვანი პოეზია

## იოაკიმ დიუ ბელე

\* \* \*

ნეტავი მას, ვინც მოვლო მსოფლიო და, ვით იაზონ და ოდისევსი, გამოცდილებით და სიბრძნით სავსე, კვლავ დაუბრუნდა მხარეს მშობლიურს!

ეჰ, როდის ვნახავ კვამლის დინებას ჩემი პატარა საკვამურიდან, ეზოს, ასე რომ საამური და ზვრებზე მეტად მენადინება?

რომის სასახლეს მე მიჩვენებია ქოხი, მშობლივით რომ შემომჩვენებია, მარმარილოებს — თხელი ფიქალი,

მე ვამჯობინე ლუარა ტიბროსს, პალატინს ჩემი სოფელი მიჯობს, ზღვის ჰავას — ანჟუს მსუბუქი ქარი.

## პოლ ვერლენი

### მუსია პრუდ'ომ

დარბაისელი — მერია და ოჯახის მამა, მიმაგრებული საყელური უფარავს ყურებს. მშვიდი თვალებით უერთდება ოცნების ყურებს და ქოშებიდან გაზაფხულის ელვრება გამა.

მას არ იზიდავს ვარსკვლავები, არც ზეცა ართობს, არც — მელოდია ხეივანში მგალობელ დასთა, არც მოზიბინე მდელისა აქვს საერთო მასთან! მუსიე პრუდ'ომ ერთ რამეზე ოცნებობს მარტო:

სურს ქალიშვილი მიათხოვოს, ელირსოს საშველს, მდიდარ, ღიპიან ბოტანიკოს მუსიე მაშენს. რაც შეეხება ლექსის მწერლებს, მათთან ავია —

ამ უქნარა და მანანლა ხეპრეთა ურდოს უფრო ვერ იტანს, ვიდრე თავის ქრონიკულ სურდოს, და მის ქოშებზე გაზაფხულის ვარდნი ყვავიან.

## ალფრედ დე მიუსე

### უკანასკნელი სტრიქონები

თვრამეტი თვეა ტანჯვის და დარდის, რაც საიქიოს მესმის თარეში, თვრამეტი თვეა, სიკვდილი დადის და ყოველ მხრიდან მიმზერს თვალებში.

რაც უფრო ვებრძვი, მით უფრო მიცავს სასონარკვეთა და ნაღველს ვრჩები და როცა ნაბიჯს ვაგებებ მინას, ვგრძნობ, გულისცემა ჩერდება ჩემი.

მეცლება ძალა და ნადგურდება, ბოლო ბრძოლაში ცვდება სხეული და შემართება ისე დუნდება, ვით დოლის ცხენი ქანცმილუული.

## არტურ რემბო

### ჩემი აოჰეა

მე, გამორღვეულ ჯიბეებში ხელჩანყობილი, მივაბიჯებდი. შესაშური მეცვა ქურთუკიც. უძირო ცის ქვეშ შენ გიკმე, მუზავ, გუნდრუკი. ო! რა მშვენიერ ტრფობით ვიყავ გულშეყრობილი!

გზად, ერთადერთი, გახეული შარვლის ამარა, მე, მეოცნებე ცეროდენა, ვიყავ გართული რითმით. გრანდ-ურსზე მომელოდა ბინა-ფარდული და მოშრიალე ვარსკვლავების მეკრა კამარა.

სალამობით, სექტემბერში, გზის პირას მჯდარი, მე მათ ვუსმენდი, როცა, მძლავრი ბახუსის დარი, მეამებოდა ცვარი შუბლზე შემორჩენილი,

როცა, რითმვისას, მეხვეოდა ჩრდილთა ფანტასმა და ჩემს გაცვეთილ ფეხსაცმელზე ვჭიმავდი თასმას, ვით ქნარზე სიმებს, დახრილ მკერდზე მუხლმიბჯენილი!

## სერჟ გენსბურგი

### ფერი ყავის

მიყვარს შენი ფერი ყავის, შენი თმები ყავის, შენი ყელი ყავის. მიყვარს, როცა ცეკვავ ჩემთვის, გამიელვებს როცა ყურთან უღერა სამაჯურთა, ლამაზ სამაჯურთა, შენი ტერფის რიტმს რომ ერთვის.

ფერი ყავის, მიყვარს შენი ფერი ყავის.

რა საოცარ ალში მახვევ შენი ცეკვის მნახველს, თეძოებს რომ არხვევ, ნაზად არწევ თვალ-წამწამებს... და თუ მაგარ ყავასავით უნით ამაზავებ, ვნებით გამასვავებ, გავათენებ ჩვენ ამ ღამეს!

ფერი ყავის, მიყვარს შენი ფერი ყავის.

სიყვარული თავისთავად, როგორც ჭიქა ყავა, შეუმჩნევლად გავა და ვერ შევცვლი მე ამ მცნებას. მოგვწყინდება როცა ყავა და დაცხრება ლავა, მაშინ ყოველივე მიეცემა დავიწყებას.

ფერი ყავის, მიყვარს შენი ფერი ყავის.

## ჟორჟ ბრასენსი

### ავღარი

ავღრისა მითხარი და დარს ნუ ახსენებ. დარიან ამინდში დარდი არ მასვენებს, ლაჟვარდი სიბრაზით მავსებს, რადგან სიყვარული, ახლა რომ მივტირი, სწორედ რომ ელჭექის და იუპიტერის წყალობით დამატყდა თავზე.

ნოემბრის ერთ ღამეს, როდესაც სახურავს ხედნიდა მეხი და ჭექდა არნახულად და შლიდა ფეიერვერკებს, მეზობელ სახლიდან, ელჭექით დამფრთხალი, პერანგის ამარა მომადგა კარს ქალი, შინ შემომიშვაო ეგებ:

„გამილე, შიშისგან ვკანკალებ, მარტო ვარ, ქმარი სამსახურში წავიდა, დამტოვა, მოვალეობა აქვს რთული, ავდრიან ღამეებს კარავში ათენებს, ღამეში ამონებს მეხამრიდს ათეულს, რომ პურის იშოვოს ფული.“

ფრანკლინის გენიას მადლობა შევნირე. წამიც და... ღამაში მკლავებზე მეწვინა და ვნების გვალბობდა ცვარი!.. — შენ, მეხამრიდებს რომ სხვებისთვის არიგებ, საკუთარ ბინაში რატომ არ აიგე? შეცდომა მოგსვლია მწარე...

და როცა დატოვა ცა იუპიტერმა, როდესაც ღრუბლები მზით გადაიდევნა, სახლისკენ გასწია ქალმა. მომავალ პაემნად, წარღვნათა სადარი, დამითქვა შემდეგი წვიმა და ავღარი, შემდეგი ელვათა ქარვა.

მას შემდეგ, თვალს რული არ მომკარებია, ცის ყოველ მოქუფრვას გავცქერდი ნებივრად, ღრუბელთა ვითვალე რიგი. ამაოდ ველოდი ქარიშხალს იმედით, ამაოდ ვითვლიდი, ამაოდ ვითმენდი — არ დაბრუნებულა იგი.

ქმრისთვის სარფიანი დამდგარა ამინდი, გაუსაღებია ყველა მეხამრიდი და გამდიდრებულა თურმე და ნაუყვანია ლაჟვარდის მხარეში, სად ღამეებია ელჭექის გარეშე, უწვიმქარიშხლო და ჩუმი.

დე, ჩემმა ნუხილმა გზა განვლოს ათასი, მივიდეს მასთან და უამბოს ავღარზე, ღამე რომ ვუთიეთ ერთად. უთხრას, რომ იმ მენმა სარქველი ახადა ჩემს გულს და მის ფსკერზე ყვავილი დახატა, რომელიც მასა ჰგავს მეტად.

თარგმანი ბაჩანა ჩაბრაძე





ჩემო ძმაო, მე მსმელი კაცი ვარ. მაგრამ ტოტალური გაგებით, მაინც არ ვიცი, რას ნიშნავს თეთრი ადამიანისათვის სასმელი... ალკოჰოლი... არ ვიცი, რას ნიშნავს აღმოსავლეთის ხალხისთვის „შავი აბები“. კიპლინგი ასე უნოდებს თავის ერთ-ერთ მოთხრობაში ოპიუმს.

არ ვიცი, რას წარმოადგენს შავკანიან-ისთვის შავი.

არც ის ვიცი, ესკიმოსებისთვის და სხვა ყინულის ადამიანებისთვის თუ არსებობს რაიმე „გამთიშველი“ — რაუხედავი ვარ. მაინც მგონია, რომ სასმელი უფრო უნდა ანეკდოტით, „ყინულოვან“ მაგიაზე, პირადად მე, ნაღდად არაფერი მსმენია.

ეს ყველაფერი, „აბებიცა“ და „მაგიაც“ და ალკოჰოლიც შესავალია, უფერტიურა, მზადებაა იმ საშინელებისკენ, რომელსაც დასასრული ჰქვია. დასასრული — სიკვდილი: — ჯოჯოხეთი! დასასრული — სიკვდილი: — სამოთხე! თუმცა არავინ უწყის „მიღმა“ რას ნიშნავს, რას ენოდება. ვინ იტყვის, იქიდან ახლახანს დაგბრუნდი, იქაური ჰაერით და ხემსით დაგნაყრდი და სიტყვაზე მენდეთო... იქიდან არათუ ზღაპრებში, სიზმრებშიაც არ ბრუნდებიან... რატომ გვეშინია, რა დაგვიშავა ამ სიკვდილმა?! ის, რომ არავის მოვენატრებოთ და არავინ მოგვენატრება? აღარ შეგვძლებოდა ნაცნობ, საყვარელ ადამიანებს, საგნებს, ცას, მზეს და მიწას, — ყველაფერს, რაც და ვინც და რომელიც ძალიან ხშირად წერვებს გვიშლიდა?! ან გვლიდა ან გვავლიზიანებდა ან ერთი სული გვექონდა, უბრალოდ მოგვეკლა?! მთავარია — ჩვენ არ განვიცადოთ დისკომფორტი. ჩვენი დისკომფორტი ხომ (ამას ნყალი არ გაუვა!) სხვის სიცოცხლეზე ბევრად აღმატებულია... ხომ გვიფიქრია, წარბშეუხრელად როგორ მოგვკლავდით ადამიანს, ხელის ერთი დაკვირვებით გაეპრობდით, დავიინყებდით და ილუზიურ შეგებასაც ვიგრძნობდით; სხვისი „დანგრევის ხარჯზე“ თავსაც სიამოვნებით მოვიკლავდით და სულსაც მოვითქვამდით... ჩვენი ნამცეცა ტვინები „ცოტა ხნით“ მაინც დაისვენებდნენ, გუნებაში იტყოდნენ: „აჰა, ეგეც თქვენ, რაც გინდოდათ, ხომ მიიღეთ კიდევ?!“

შევა... დალაშქვით — გათენებამდე... და ვინ მეტყვის, რომ ხშირად ღამე სიკვდილზე უარესია?! ალბათ ის მეტყვის, ვისაც ტვინი აქვს და გონების ფულუროში სინდისთან ერთად წერვებსაც ანავარდებს. ისიც ხომ გვითქვამს, — ნავალ, ჩემ გემოზე გადავიკარგები, ერთი თქვენიც, ყველაფერი ფეხებზე მკიდა! შევა: — გაქცევამი... ალკოჰოლში... აბეში... მაგიაში... სიყვარულს — არა! მიტევენას — არა! არა — თითქმის ყველაფერს, რაც არ გვსურს და არ გვინდა და რახან არ გვინდა, არც დავიჯერებთ, თუნდაც 10000-ჯერ შემცდრები ვიყოთ... ღრმად დარწმუნებულებიც ვართ, ამ ოხერი „ტკბილი“ არას“ ნებისმიერი პოზიციითა და მდგომარეო-

ბით... ცოტა უცნაურია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი „არა!“ და „მინდა!“ იდენტურია, ყოვლად უზნეო და ჯიუტი სინონიმებია... არ გეჩვენება, რომ ეგოიზმის მძაფრი სურნელი ახლავს ჩვენს მსჯელობებს და ქმედებებს და თუნდაც სრულიად უმტკივნეულო, „შეუმჩნეველ“ და კატასავით ფრთხილ მოძრაობებს?! დავიჯერო, მეც მკვდარი გოჭივით ვიქნები, „დეზერტირების ბაზრის“ დახლზე რომ დევს რივის ქვასავით? იქნებ მინაშიჩაქედებული ადამიანები ვილაცისთვის მკვდარი გოჭებია, რა იცი?! იქნებ ჩემი კუბო მუყაოს ყუთია, რომელშიც ხაჭაპური დევს და ისევ მე შევექცევი?! ჰო, საკუთარ თავს შევექცევი, გასაკვირი არაფერია, განა მუდამ ასე არ იყო?! ადამიანები უხსოვარი

უპირატესობა მიანიჭო (თუ მესამე იპოვე, უკვე „სხვა“ ხარ, ყველაზე მაგარი, „დამანგრეველი“ და ყველაზე უბედურიც). სიკვდილი არ არის საშინელება, სიკვდილი პარალელურ სამყაროში დაუსრულებელი ხეტილია... მე ახლა სუბიექტური ვარ და ბევრს ვლაპარაკობ. არადა, შემეძლო მხოლოდ ერთი ცნობილი წინადადება „მესესხა“ ერთი ცნობილი კაცისგან: რომ მაინც „ყველა ქრისტია, ყველას ჯვარს აცვამენ...“ ერთხელ გკითხე: „გოგია, დავიჯერო, რომ „მერე“ აღარაფერი არ არის-მეთქი?“ შენც ჩვეული პირდაპირობით მიპასუხე: „არა, შენ წარმოიდგინე, აღარაფერი

არ იფიქრო — სანტიმენტალური გახვდი. ამ შემთხვევაში ობიექტური ვარ, ისევე, როგორც შენ და ეს ობიექტურობა და ბევრი კარგი და უკეთესი შენგან შევითვისე... გოგია, ძმაო, რაზეც ახლა ვლაპარაკობ — ორი, შვიდი, ხუთასი სიტყვა არაფერიც არ არის — ნყალია და ჰაერია და ხელში გაცრილი ქვიშაა... მე კი არ ვკვებები, ბიჭო, მაგრამ მომიწია, უშენოდ შენთან ერთად ვიფიქრო და ვიმოგზაურო, შენთან ერთად უხმოდ ვიჯდე და უბრალოდ, სიტყვის გაუღებლად ვუსმენდე ჩვენს დუმილს... ამასაც თავის მულამი აქვს, დამეთანხმე, ძმაო... როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, ხანდახან მომიგონე ხოლმე, მეტი არაფერი მინდა! გითხარი, სანტიმენტალური არა

გიგი სულაკაური


გაუგზავნილი წერილი მეგობარს

დროიდან საკუთარი სისხლითა და ხორცი იკვებებიან... გავეკარი ფილოსოფიას, არასოდეს მჯეროდა არც ჩემი და არც სხვისი „სიბრძნეებისა“ და არც არასდროს დავიჯერებ. ადამიანებს ერთადერთი — სიმარტოვის ფილოსოფია აქვთ, მეტი არაფერი... მეგობრობა — სიმარტოვეა, სიყვარული — სიმარტოვეა, ოჯახი — სიმარტოვეა და თუ არ დაგეზარა ჩამოთვლა, ყველაფერიც... ეს „ნიჟარამი“ გამოკეტილი კაცის სიბრძნეა — არ შემეხო, სანამ ნებას არ მოგცემ, რომ შემეხო... მეტი რაღა ჩამოთვალა, ან რა საჭიროა — „უცნობი მიისწრაფის უსასრულობისაკენ“. სიმარტოვის უსასრულობა წრეა, რომელზეც თვითონვე გამუდმებით, შეუჩერებლად მოძრაობს და რახან გულმავინყობაც ადამიანის ერთ-ერთი „აუცილებელი“ თვისებაა, ამ წრეს ბევრჯერ გაივლის და ბევრჯერ ნანახს თავიდან, როგორც უახლესს, ისე კითხულობს... ჯანდაბას იქით, უსასრულობა!.. შეიძლება სწორია ეს ყველაფერი, შეიძლება — მცდარი, ან რთულია, ან — მარტივი. ისე რა, — არ არის, აქ ორი უკიდურესობაა, მხოლოდ ორი ადგილია — პირველი და მეორე და ძნელია, რომელიმეს

აღარ არის, „მერე“ ამთავრებს ყველაფერს...“

ეჰ, ჩემო გოგია, შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ, შე უღმერთო. მაგრამ არის, უეჭველად არის! იმიტომ, რომ ახლა ასე მინდა, ანუ არ მინდა, მკვდარი გოჭი ვიყო „დეზერტირების“ დახლზე და რამდენადაც ვიცი — შენც არ გინდა, ძმაო... ცხოვრება, ბიჭო, სხვა სიღრმეებისთვის გვამზადებს: შეუძლებელია, გონიერ კაცს სული არ ქონდეს, შეუძლებელია, მან პარალელური არ მოინახულოს, მარტო მინის „განაყოფიერებით“ არაფერი გამოვა, კარგო... თანაც სასუქის მეტი რა არის ამ დალოცვილ პლანეტაზე?! რაღა მაინცდამაინც ბუნებრივი... თანაც, მგონი, ჩვენც ჯერჯერობით ადამიანები გვქვია, გარეგნულად მაინც... და არავის არაფერი შეეშალოს და არ წამოცდეს — რაღაც ეგოიზმში მოიკოჭლებ ამ ბოლო დროსო... დიდი მადლობა ეჭვისთვის, ჩემო ტკბილო მეგობარო! შენ ერთ-ერთი გონიერი კაცი ხარ, ვისაც ამქვეყნად შეგხვედრივარ — მიყვარხარ და ნაღდად მეგულები.

ვარ-მეთქი. მაგრამ ეტყობა, სადაც ჯუღმულის განაპირას მაინც ვარ და... მე მეცინება და, ალბათ, სასაცილოც არის, არა, ბიჭო?! შეიძლება სასაცილოც იყოს, მაგრამ არც სიცილის და არც ტირილის არ მეშინია! მე „ცოტათი შევძელი“ ვყვარებოდი მეგობრებს, ქალებს და, რაც მთავარია, ბავშვებს. არ ვიპრანჭები, მიგრძნობია ეს მე და ამიტომაც გეუბნები... ვფიქრობ, ეს უკვე მიღწევაა, ერთი ცხოვრებისთვის მაინც... ამბობენ, რომ ადამიანის გაგება რთულია. ვყვარებოდი-მეთქი... სიყვარული გაგება არ არის — გრძნობაა, იცი შენ ჩემზე უკეთ და უკეთ და მე „სხვაგან“ იმ გაგებით ნავალ, რომ გოგიას ერთხელ მაინც გაუგე, ან თითქმის გაუგე და რაღაც კიდევ დავიმსახურე. რაღაც: შენი ყურადღება, შენი „თვალი“ არასდროს მომკლებია, ძმაო... ძალიან ბევრი რამე მინდოდა მეტქვა და მომეყოლა, მაგრამ რას იზამ, გზიდან გადავუხვიე და „სიბრძნისმფრქვეველად“ ჩამოვყალიბდი. ეს კი ჩემი „წერილის“ გეგმებში არ შედიოდა... ისევე: რას იზამ, კაცები სამყაროსავით ყოველდღე, ყოველწამს ვიცვლებით, თანაც, ყველა სიკეთესთან ერთად, უცნაურებიც ვართ და თანაც ჩვენი უცნაურობა ჩვენზე არ ყოფილა დამოკიდებული... ჩემ ძველ სტრიქონებს შეგახსენებ, ოღონდ ერთსა გთხოვ, არ იფიქრო, თითქოს განდიდების მანამ შემიპყრო. ასე: „...სულ დამავინყდა, რომ სამყარო ნამში იცვლება...“ და კიდევ: „...რამ დავგავინყოს, რომ თვალეში ჩვენ უძველეს სქესს სევდა უდგას დაბადებიდან...“ და კიდევ: „...ეს რა კვალია? ჩემია, ჩემი ნაფეხურია, ამ გამომხმარ, შავ ძალს რომ მისდევს დაბადებიდან... დაბადებიდან...“ ხედავ, რა შეიძლება მოჰყვეს „სიბრძნისმფრქვეველად“ გარდაქმნას, ჩემო გოგია?! იმედია, არ მიწყენ, გოგიას რომ გინოდებ, ასე უფრო „მემარჯვება“... ერთხელ ჩემ ძველ სადარბაზოში, ჩვენ კართან ასეთი წარწერა გაჩნდა: — კარგი ხარ, არჩილ, რა ვქნა?! ჯვარი გწერია! მეც გეტყვი: — კარგი ხარ, გოგია, რა ვქნა?! ჯვარი წერია უკლებლივ ყველას: — ადამიანო, კარგი ხარ, რა ვქნა?!...და, მიყვარხარ, სამყარო!..



**ლიტერატურული გაზეთი**

გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ყურული

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com